

ლიტერატურული გაზეთი

№6 (214) 23 მარტი - 5 აპრილი 2018

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი



პროზა

ჩანაწერები

პოეზია

თარგმანი

ინტერვიუ

ბამონმაშობა



ეს ხეივანი ახსოვს. ეს ქაღალდებიც, მოყვითალო წრეებს რომ ტოვებდნენ მის მუქ, ლურჯ პიჯაკზე. ოლონდ მაშინ ეს პიჯაკი უფრო ვინრო იყო, წელშიც თითქოს უფრო მეტად გამოყვანილი. ძუძუებიც უფრო ზევით, თვალებიც უფრო ცხადად, უფრო პირდაპირ იყურებოდნენ. მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ზუსტად 15 წლის შემდეგ, იგივე პიჯაკში გამოწყობილი, იგივე ხეივანზე გაივლიდა, შემოდგომაც თითქოს ისევე ისე, ბავშვურად, ოდნავ მიამიტიურად, უკვე ქალაქაშერეულ თმაზე გადააყრდა სხვა ქაღალდების უსუნო, უარაფრო ბუსუსებს, რაღაც შორეულს რომ გახსენებს, უმომავლოს, უფეროს და მანაც რაღაცნაირად შენსას, მესხიერების სკივრში ჩაკეტილი, გადასაყრელად რომ გენანება, არ გეთმობა, გადასარჩენად ებლაუჭები. „ვერ გადაეჩვიე ამ ძალით დაშაქრულ ამბებს, ამ გულისამრეგ ბუნების აღწერებს, ამ... ამ, ამალღებულ განწყობებს, რომანტიკული შეხვედრების მოლოდინებს, ძველი ფოტოსურათების თვალთვლებას.. იქნებ ამიტომაც, ვერასოდეს გამოუვიდა ნაჯახივით მოექნია სიტყვა, იქ გაეპო, სადაც საჭირო იყო, იქ გასცლოდა, სადაც დარჩენა აღარ შეიძლებოდა, იქ გადამალულიყო, სადაც სანგარი ეგულებოდა. იქნებ ამიტომ იდგა ყველა შესაძლო მოსახვედრი დასჯილი, დამნაშავე ბავშვივით, მაშინ, როცა მეთერთმეტეკლასელების მორიგი ლამისთევიდან კაბაშემოგლეჯილი სახლში უნდა დაბრუნებულიყო და ეგონა, კარს არავინ გაუღებდა და მაშინაც, როცა ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა შეკრებიდან გამოსულს, რატომღაც წყეული სადიპლომო ნაშრომი გაახსენდა და ბავშვობის ბოქლომიან ბლოკნოტში უკვე ოქროსბეჭდიანი თითით ჩანერა: „მდინარეები მიაბიჯებდნენ ჩვენი ცხოვრებების გადაღმა, მოაჯირებზე“.

არადა, მაშინ უკვე იცოდა: მდინარეებმა ყოველთვის ჩვენზე უკეთ იციან, საით უნდა გადააბიჯონ, მოაჯირებიდან უკან დაბრუნებულებს საკუთარი ცხოვრება წყალწყალა წვნიანებსა და სარეცხის მანქანებში დაუდევრად შეყრილ ფერგადასულ სარეცხში რომ შემოგვხვდეს. შვილების ყოველდღიურ პრობლემებში, სამეზობლო დავებსა და ფასადურ საოჯახო სადილებში, ყველგან, სადაც შეიძლება საკუთარ თავს გადააწყვედოს და სასწრაფოდ აარიდოს თვალი, გაურეცხავი წინდასავით შეჩურთო საწოლის ქვეშ, მანამ ბოლომდე არ ამყრალდება და მისი სუნი ქუჩაში, უბრალო გამელელებამდე არ მიაღწევს. ამ ბავშვებამდე? — რატომაც არა.

და მაინც, ბავშვები იყოფიან წვიმისგულიანებად და ნაჯახისპირიანებად. ნაკლებ და მეტად სასტიკებად. წინა კვირას მომხდარი საზარელი მკვლელობა გაახსენდა და გააცია. 17 წლის გოგო მოკლა იმავე ასაკის ბიჭმა. „ბავშვები სასტიკები არიან“ — დაასკვნა. ბავშვები. მას კი ყოველთვის რომანტიზმი უყვარდა. ყაყაოებიანი მინდვრების და გამჭვირვალე თხელი ცის თალოვან რკალზე ღრუბლის პარკივით გაჩენილი და სადღაც შორეულ ათასწლეულებში გადასროლილი არარსებული ოცნებების თხელი ფთილა. და ისიც, მოქანავე ზანზა-ლაკი არარსებული ცხოვრების თოკზე. ზინა. ამიტომაც, ყოველთვის ყველაფერს ფუთავდა. ალამაზებდა. მერე ჩარჩოებში ამწყვდევდა და ივინყებდა. ყაყაოებიანი თხელი კაშზე მაგრად შემოიჭირა ყელზე და გზა განავრძო.

„უკვე ერთი თვეა, რაც ამ ქალაქში არ წვიმს. არცერთი წვეთი ციდან. არცერთი წინწკალი. ალბათ იმ ქალაქებში, სადაც ხშირად წვიმს, წვიმისგულიანები ცხოვრობენ“, — არანორმალურად შემურდა. ბალახის ღეროს გემოს გრძნობდა პირში. მდინარის მიერ მოტანილი ბალახის სუსტი ღეროს გემოს. ცხადად. უპირობოდ. ნაწვიმარი ბალახის გემოს. არადა, არ წვიმდა. არც აპირებდა.

არა, წვიმის მართლა არაფერი იცოდა. სამაგიეროდ, რომანტიკოსები იცოდა. სადიპლომაც ამაზე დაიცვა, მთელი ცხოვრებაც ამაზე ააგო — გაათავისუფლება ნორმებისა და შეზღუდვებისგან, შთაგონების გამეფება ყოველდღიურობაზე. ცხოვრების იდილია, ამ იდილისგან თავის დაღწევა და გაათავისუფლება კი (სხვადასხვა რამაა) ერთ დიდ სარეცხის ქვაბში თავსდებოდა, რომელიც ყველაფერს იტევდა მისი შვილების, მშობლების, კაცის

და საკუთარი საცვლების ჩათვლით. დღემდე ხარშავდა, უბეებს უხამებდა. ასე ასწავლეს.

— ზინა ზინაოდელა-ზინა ზინაოდელა-რაანინა, ზინა ზინაოდელა-ზინა ზინაოდელა-რაანინა, — კარის კალბა და ჩვეული მარმის დაწყება ერთი იყო.


— ზინაოდელა რანინა, ზინაოდელა რანინა, — ესეც ქორო უკანა მერხებიდან.

ზინა ერქვა. ასე დაარქვეს სრულიად არარომანტიკულმა მოწინავე საბჭოელებმა თავიანთ ქალიშვილს. ერთადერთი გოგო მთელ სკოლაში ამ სახელით. როგორ აღარ აბრუნა, განსაკუთრებით, სახლიდან კუნბეცოვის სერვიზის უკანასკნელი, მონარჩენი ლამბაქის გაქრობის შემდეგ: ზინი, ზანა, ანა, ბოლოს არჩევანი ინაზე შეაჩერა. დიახ, ის ინაა. მაგრამ ამ ბავშვებმა იციან, რომ ზინა ქვია. ამ ბავშ-

ვთერთმეტეკლასელების არასეზონურად გარუჯული და პირსინგიანი ტანები, მასწავლებლის მაგიდაზე გადაშლილი ლიტერატურის სახელმძღვანელო „XI კლასი“, დაფა წარწერით: „რომანტიზმი ქართულ ლიტერატურაში“, მასწავლებელი უცნაურად ნაჭერილი ბაფთით და 25 წყვილი თვალი, და რომანტიზმი? — ეგეც.

— ზინა ზინაოდელა-ზინა ზინაოდელა-რაანინა, ზინაოდელა რანინა, ზინაოდელა რანინა, — და მარშიც.

„სკოლის მერე სეირნობდნენ ხოლმე. როგორც და სადაც შეეძლო. მწვანე ნუშებს ღეჭავდნენ ხევ-ხევ. საყვარელი გასართობი იყო. მკლარზე გაზაფხულის გემო ქართულის გაკვეთილის შემდეგ. ბოლო იყო. განსაკუთრებით ეტკილებოდათ. მეთერთმეტეკლასელები იყვნენ გამოუცდელი“.



ზინა ზინაოდელა

ვებმა ყველაფერი იციან. ისიც კი, რაც თავად არ იცის. თავად კი ბევრი რამ არ იცის, იმდენად ბევრი, რომ როცა ოცდახუთი წყვილი თვალი, ნახევარჯერ ორმოცდაათი ოჯახური მდგომარეობა და სოციალურად დაცული თუ დაუცველი ფენა, თავისი ყოფითი და სასიყვარულო პრობლემებით ერთდროულად შემოსცქერის, არ იცის, როგორ მოიქცეს. ხელები სად წაიღოს. როგორ დაჯდეს. რომელ მხარეს გაიცინოს. ორმოცდაათი ზინა. ორმოცდაათი-თი. ორმოცდაათი წლის ზინა. ორმოცდაათი წლის. მეთერთმეტეკლასელების პირისპირ. მას კი სულ არ ესკოლებოდა. მეტიც, ძლივს მოათრია მასწავლებლის სახელადქცეული საკუთარი თავი სავალუტო ჯიხურად ქცეული ცხოვრებიდან. ცხადად. უპირობოდ. ბაფთით — ქუსლმომცველი ფეხსაცმლით პირველკლასელებით უხერხულად გაიარა და დაჯდომისას მუხლზე აწეული ქვედაბოლო შეისწორა. „ქვედაბოლო“ — ჰო, ასე ეძახდა. ზინა მერხზე მჯდომი კაცის წყვილმა თვალმა მუხლი გაუხერხა. იცის, ეს რა მზეურაა, ჯერ კიდევ იცის. კიდევ უფრო მეტად დაქაჩა კაბა. „ისე, მეთერთმეტეკლასელთან რომ დანვებს, დაიჭერენ?“ — მაშინვე გადაიფიქრა.

— გამარჯობა, — უხერხულად ჩაილულულა და დაჯდა.

ყველაფერი ისეთი პირობითი იყო: მე-

— რა ძერსკი ბაფთაა მას, ძალიან გიხდებათ, მარა, მგონი, ცოტა გიჭერთ, — გაიცინეს. იცინონ.

„ნეტავ, მათემატიკის ფული როდის უნებს?“ — გაიფიქრა. ოხ, ეს ზუსტი მეცნიერებები, არასდროს ესმოდა მათი არსი. არც ის, რატომ უნდა ესწავლა მის შვილს ეს ზუსტი მეცნიერებები და არც ის, რატომ უნდა ეხადა ზუსტი მეცნიერებების ფული არაზუსტ „მას“ ზუსტად განსაზღვრული და ზღვრული ნორმით შესრულებული ქართულის გაკვეთილებით აღებული გასამრჯელოთი, მაგრამ „ნეტავ, მათემატიკის ფული როდის უნებს?“

— მას, პარალელური კლასი მომავალ კვირას ექსკურსიაზე მიიღის და ნავიდეო რა ჩვენც (წინა მერხიდან წამოიზღაზნა სიის მესამე, სანიმუშო ნომერი).

„დილით სარკის წინ შუქის ქვითარი აილო? ჰო, ვერაფრით ისწავლა ინტერნეტ-ბანკები და ეს მაიმუნობები. მამაპაპურად უნდა მივიდეს ბანკში და ისე გადაიხადოს. ეგაა, დროს მოითხოვს“ — გაკვეთილის შემდეგ ვილაპარაკოთ, კარგი? — ცივად უპასუხა „სანიმუშოს“ და ჩანთაში ჩახედვის მაგივრად სიის ამოკითხვა დაიწყო, სტანდარტულად, აუღელვებლად, ჩვეულებრივ, ისე, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა. საბჭოთა ბავშვი ზინა — ნანწავით, ბაფთით, ლურჯი ფართით, ყელსახვევით, სხაპახუბით ნათქვამი უზარმაზ-

არი ლექსებით სიას კითხულობდა. „ლუკას რომელზე დაუწინააღმდეგებელი დღეს?... აღარ ახსოვს...“

— ზინა ზინაოდელა, ზინა ზინაოდელა, რანინა, რანინა (ყურები ეწვის. რატომ ქვია ზინა, რატომ დაარქვეს ზინა, რა საზიზღარი სახელია ზინა, როგორ უჭერს ბაფთა, როგორ დაეღალა ტორფები ამ საზიზღარ ფეხსაცმელში, რატომ დაავინყდა სკოლის გამოსაშვებ საღამოზე ლექსი)...

„ერთი, ორი, სამი, ოთხი, ოცდახუთი... უცებ ჩაამთავრა. კლასში ოცდახუთი ბავშვი. ოცდახუთი ქალი და კაცი. ოცდახუთი ადამიანი. ოცდახუთი ამბავი. ოცდახუთი ისტორია. ოცდახუთი დაცინვა, ბრაზი, სიყვარული, მომავალი, იმედგაცრუება. ის კი ზინაა. ოცდახუთი ადამიანის ერთი მასწავლებელი. და მან არ იცის, როგორ გაუმკლავდეს ამ ბავშვებს“.

მერვე წამოდგა და გავიდა, არაფერი უთქვამს. ტელეფონზე დაურეკეს. მერე მეთორმეტე გავიდა. მერე ერთად დაბრუნდნენ. ვითომც არაფერი. ან რა აზრი ჰქონდა.

პირდაპირ დაიწყო.

— რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში წარმოიქმნა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში კი ფართოდ გავრცელდა საფრანგეთში, შემდეგ სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის, საქართველოშიც. ამ მოვლენას ხელი შეუწყო საფრანგეთის რევოლუციის დამარცხებამ. მსხვილი ბურჟუაზიის გაბატონების გამო, დაიწყო მთელი რიგი მოვლენები მემამულეთა და წვრილბურჟუაზიული წრიდან გამოსულ მწერალთა მხრიდან. პოეტები აღარ ემორჩილებოდნენ კლასიციზმს და შემოქმედების მთავარ საფუძვლად ადამიანის პირადი განცდები და მხატვრული ფანტაზია აღიარეს. რომანტიკოსი მწერლის მიზანია არა ის, რომ ზუსტად ასახოს მოცემული რეალობა, არამედ შექმნას საკუთარი ღვთაებრივი სამყარო და სწორედ ამ ხატის საშუალებით წარმოაჩინოს ის იდეალი, რომელიც სურს, რომ მკითხველამდე მიიტანოს.

„ცარცით ხაზავდნენ ხოლმე უჯრებს. მერე ამ უჯრებში ციფრებს წერდნენ. მერე ბრტყელი ქვა უნდა მოეძებნათ და ესროლათ. ასკინკილით, ან ორი ფეხით, წინ და უკან, შეუცდომლად უნდა გაგვეკვლიო უჯრები ისე, რომ ხაზი არ გადაგვეკვია“.

უკანა მერხებიდან ლუი არმსტრონგი ისმოდა. „ჯაზი. რა იციან ამ ბავშვებმა ჯაზის, ღამის კლუბებში ხომ ჯაზს თითქმის სულ არ უკრავენ. What A Wonderful World... სტუდენტობისას სულ გაურბოდა ხმაურიან თავყრილობებს, ოჯახი ჰყავდა და იმიტომ. სახლში ექპარებოდა და იმიტომ. ნამდვილი საბჭოელი მშობლების ნამდვილი საბჭოელი შვილი იყო და იმიტომ. ისინი კიდევ დილაზე ისხდნენ და კამათობდნენ: ჯაზზე, ბიტნიკებზე, თომას მანზე, ვირჯინია ვულფზე, ჯავახიშვილის „კურდღელზე“; იმაზე, სარწმუნოებას შეეწინააღმდეგებოდა თუ საკუთარ ქალურ ეგოცენტრიზმს; იმაზეც, იყო თუ არა რომანტიზმი ჩანასახშივე არასწორი მიმდინარეობა; იმაზეც, დარჩა თუ არა პაოლოს თვითმკვლელობის გარდა სხვა გამოსავალი და იყო თუ არა გმირობა მიხილი ჯავახიშვილის არჩევანი. მოკლედ, ყველაფერზე. ყველაფერზე. ის კი არ იყო. ის მხოლოდ ამბებს იგებდა ერთი თანაკურსელი გოგოსგან, რომელიც ამ დეკრებებს ესწრებოდა და შემდეგ მის დევანზე მოკალათებული, მაშინ, როცა მისი „მეთერთმეტეკლასელი“ რომანტიკოსი ქმარი სათმევზაოდ იყო წასული, დანვრილებით უყვებოდა. მაგრამ ის ცხოვრობდა, ცხოვრობდა ფრიადოსნის ჩათვლის წინგაკით და „სწორი“ შეხედულებებით ცხოვრებაზე.

— საქართველოში რომანტიზმის თანამდევნი პროცესი იყო ლიტერატურული სალონების გაჩენა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სალონების დაარსება თავისთავად არის დაკავშირებული ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელთან, დღეს ჩვენ ვისაუბრებთ ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ქართული რომანტიზმის მწვერვალზე, მისი პოეტური აზროვნების გამოხატულებაზე, საიდანაც იწყება ევროპეიზმის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში. თუ დაინტერესდებით, შეგიძლიათ გადაიკითხოთ მერაბ ლალანის ანალიტიკური ესე „რას გვაუწყებს დღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის

„საფლავი მეფის ირაკლისა“ და მიაჯალაჟილის „ქართული რომანტიკული პროზა“.

„ადგა და თმა ბიჭურად შეიჭრა. ზუსტად ისე, როგორც ახლა აქვს, როგორც დღეს დილით შეიჭრა. არ მოეწონა და პირველად გაარტყა. შეეშინდა, არ დაეკარგა; შეპირდა, არასდროს შეიჭრიდა თმას, არასდროს, ყოველთვის ისე ატარებდა, როგორც მას მოსწონდა“

— ეს ყველაფერი კი ისტორიულად დაკავშირებული იყო სპარსული პოეზიის გავლენათა უარყოფასთან. ბარათაშვილმა ახალი მიმართულება მისცა XIX საუკუნის ლიტერატურის განვითარებას საქართველოში.

შეამჩნია, როგორ გახსნა სიის მეორე ნომერმა ზურგჩანთა და როგორ ამოიღო წიგნი, გადაშალა, კითხვა დაიწყო. ორნი აიფონებს ჩაჰკირკიტებდნენ. უკან, მგონი, რაღაცას განიხილავდნენ.

„პოლიომელიტი ჰქონდა გადატანილი და იმის შემდეგ მარჯვენა ფეხს მიითრევდა. ასეთი გაიცნო. ჩუმ-ჩუმად ლექსებს უწერდა ხანდახან. სულელურს. ბავშვურს. მარტო მეთერთმეტეკლასელებს რომ ესმოდათ, ისეთს. ადგა და შეუყვარდა“.

— სიყვარულის მცენარე ნიკოლოზ ბარათაშვილთან ძალიან განსხვავდება ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ალქმის კონცეფციისგან. ბარათაშვილთან გვხვდება ხორციელ სილამაზეზე მეტი, მისი აზრით, ხორციელი სილამაზე წარმოავლია და დროებითობის საბურველითაა მოცული.

„ყოველთვის ჩარჩობებში იყო, არასდროს იცოდა, სად მთავრდებოდა ჩარჩო და სად იწყებოდა ილუზია. სწორედ ამიტომ, ბევრჯერ დაარტყა და ბევრჯერ მოითმინა. ბევრჯერ გაიქცა და ყოველთვის დაბრუნებაში ითქვამდა სულს. დაბრუნება ჩვეული იყო და იმიტომ“.

— პოეტის სიყვარულის საგანი ეკატერინე ჭავჭავაძე ზოგიერთი ლექსის უშუალო ადრესატიც არის, ეს ლექსებია: „თავადის ჭავჭავაძის ასულს, ეკ...ნას“, „საყურე“, „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი“...

არავინ უსმენდა. ამათ არაფერი იციან. სულ არაფერი. ამ ცულისპირიანებმა. ამ, ამ უგულო გოგო-ბიჭებმა. მეთერთმეტეკლასელები მხოლოდ წინა ღამით კლუბში ჩანერილ ელექტრონულ მუსიკას უსმენდნენ. ალაგ-ალაგ ჯაზი ისმოდა. მერხებს შორის კრთებოდა მათი გადახორცილი თავები, პირსინგაიანი ცხვირები, ელექტრონული მუსიკისტივინიანი თავები. — ეს ხო წიგნშიც წერია, მასწ, არ დაიღალეთ, ნავიკითხავთ, — უცებ უცნაურად ააიღვარა კბილები წინა მერხზე ძლივსდატეულმა და თითებზე დაიხედა, ამანაც. კაცის თითები გაახსენდა. უუნარო. უღონო. მის ყელზე. დასცხა. ბავთა შეისწორა.

— თუ შეიძლება, ფანჯარა გამოაღეთ, ცხელა, — უღონოდ თქვა.

— ცივა, მას.

— გამოაღეთ-მეთქი, რომ გეუბნებით. წინა მერხიდან სათვალეებიანი გოგონა ადგა და ფანჯარა გამოაღო, მერე სათვალეებიდან უცნაურად გამოხედა, პირზე კაშვი აიფარა და ისეუ დაჯდა. ჩუმად თავისთვის. წიგნი გადაშალა და კითხვა დაიწყო.

ამოიხრა. როგორ აუხსნას ამ ორმოცდაათ თვალს, რომ სადაცაა კლიმაქსი დაეწყება და რომ უკვე დიდი ხანია, სექსი არ ჰქონია და რომ ღამ-ღამობით მისი უუნარო ქმარი სცემს და ახრჩობს და როცა თენდება, ყაყაჩოებიან მინდორს ყელზე შესანიღბად იბანტავს, რომ ყველაფერი კარგადაა, და რომ სკოლაში ნამოსვლის წინ, მაშინ როცა, ამ ჭადრების ხეების ქვეშ უნდა გაიაროს, ძალიან უნდა მიაფურთხოს სრულიად ქართულ რომანტიზმს და პატრიოტულ ლირიკას და ერთი დღის პეპლად გადაიქცეს, უბრალოდ გავიდეს ქუჩაში და არ იფიქროს, დაწვეს ვინმესთან, ვისაც მეორე დღეს არც კი გაიხსენებს და არასაჭირო სიტყვებისგან დაცვალოს. არა ქვია ამას? სულღამაცია? რომანტიზმი? ლიტერატურა? გაქცევა? როგორ აუხსნას, რომ ამდენ არასაჭირო სიტყვაში ყველა საჭირო სადღაც დაიკარგა და არც კი იცის, რა არის სიმართლე, გამოგონილი რომანტიზმის გაკვეთილები, თუ ცხოვრება, რომლიდანაც თავქუდმოგლეჯილი მორბის, რომ ამ ყველაფერს

სადმე გაექცეს, სადმე ჩარგოს თავისი პიონერული სხეული და უბრალოდ არაფერზე აღარ იფიქროს. ესენი კი არც უსმენენ, არც კი უნდათ, მოუსმინონ, არც კი ცდილობენ. და საერთოდაც, ვინ დაუნესა გაკვეთილზე მოქცევის წესები?

— რას კითხულობ? — მკაცრად იკითხა.

— კლასობანა. კორტასარი, — პასუხი, ვითომც არაფერი.

— მგონი, ბარათაშვილზე ვსაუბრობდით.

— მე კორტასარს ვკითხულობ, მას.

— ჩვენ ბარათაშვილი გვაქვს დღეს, ასე რომ, ნება იბოძე, დახურე ეგ მენი წიგნი და ან მოისმინე, ან გაბრძანდი საკლასო ოთახიდან.

ზედმეტი მოუვიდა. მიხვდა და მარშმაც არ დააყოვნა.

— ზინზინაოდელა-ზინზინაოდელა-რანინა, ზინზინაოდელა-ზინზინაოდელა-რანინა, ზინაოდელა, რანინა, ზინაოდელა, რანინა, ზინაოდელა დელი-დელიაა, — სასწრაფოდ მოისმა უკანა მერხებიდან.

— თქვენ ცუდად ხსნი, მას.

— განმიმარტე.

— იმას, რომ დახუბრიებული ტექსტებით გველაპარაკებით და მაგ ყველაფრის აღსაქმელად არსებობს სხვა წყაროები, რომლიდანაც საჭირო ინფორმაციას მივიღებთ.



ცოტა დააკლდა, არ ელენა ამ თავხედი გოგოსთვის. მთელი ცხოვრება, მთელი ცხოვრება ამ წყულ რომანტიზმს შეაღია, კათედრიდან — კათედრას, პროფესორიდან პროფესორს და აი, ვილაც ცხვირ-მოუხოცავი, უტიფარი, ბიბლუსში ახლანაყიდი წიგნებით გამოკვებილი პატარა ვირთხა, მოდის და ჭკუას ასწავლის მას, ფილოლოგიის ფაკულტეტის საუკეთესო კურსდამთავრებულს.

„წუხელ სექსი არ ჰქონია. წუხელ კი არა, უკვე დიდი ხანია, სექსი აღარ აქვს. სამაგიეროდ, აქვს რომანტიზმი, ერთი დიდი ქართული რომანტიზმი და წინ უზის სათვალეებიანი გოგონა კორტასარის „კლასობანათი“ და უჩვეულოდ ყოვლისმცოდნე გამომეტყველებით. ვერაფერს იტყვი, ყველაფერი რიგზეა.“

— ჯერჯერობით მე ვარ აქ მასწავლებელი, ასე რომ, თუ რამე არ მოგწონს, შეგიძლია აქედან მიბრძანდე, გასაგებია?

— არა, მას, არ არის გასაგები და გეტყვით რატომაც: იქნებ პრობლემა თქვენშია და არა ჩვენში, იქნებ, ერთხელ თქვენც დაფიქრებულიყავით, რატომ არ აინტერესებს არცერთ ჩვენგანს არასდროს თქვენი გაკვეთილი. იქნებ ჩვენ არც ისე ცუდები და გაუნათლებლები ვართ, როგორებიც თქვენ გგონივართ, იქნებ დროა, ვისაუბროთ იმაზე, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება... რომ თქვენ ძალიან გჭირდებათ ის ხელფასი, რომელსაც იღებთ და ამიტომ მოდიხართ ჩვენთან... იქნებ თქვენ ჩვენ სულაც არ გჭირდებათ?

„იღებ ქვას და ისვრი. იღებ ქვას და ვარდებ უჯრაში. იღებ ქვას და ხტები“.

— შენ რა, მე საქმე მიჩრევე? — უნებურად ფეხზე წამოდგა და მიხვდა, როგორ გაერია მის ხმაში რაღაც ნივლის მსგავსი, ისეთი მკვეთრი, რომ უნებურად ყურებზე ხელები აიფარა.

ოცდახუთი წყვილი თვალი. ოცდახუთი ქალი და კაცი. ოცდახუთი ადამიანი და ისტორია. არცერთი სიტყვა და მოძრაობა.

ბა. არც გადალაპარაკება. თითქოს ყველაფერი გაირინდა. დადუმდა.

„წუხელ არავის გაუგია მისი ტირილი. არც დედას, არც შვილს, არც მის ოდესღაც მეთერთმეტეკლასელ ქმარს, რომელიც ჩუმ-ჩუმად ლექსებს უწერდა. არავის. წინა კვირას 17 წლის გოგო მოკლა სახლში იმავე ასაკის ბიჭმა. ინანა, რომ თავად არ იყო, ინანა, რომ გაიზარდა, ინანა, რომ შეკრებებზე ვერ იარა, ვერ თქვა, რომ რომანტიზმი ჩიხია, საიდანაც ვერაფრით გამოვიდა თავისი საბჭოური იდეოლოგიითაც კი“.

„ნეტავ, დილით სარკის წინ შუქის ქვითარი აიღო?“ „ბანკში შერბენას მოასწრებს?“ „ლუკას რომელზე დაუნიშნა გაკვეთილი დღეს?.. აღარ ახსოვს...“ „მათეს მათემატიკის ფული როდის უწევს?“ „მეთერთმეტეკლასელთან რომ დაწვეს, ვითომ დანაშაული იქნება, დასჯიან?“ „მდინარეები მიაბიჯებდნენ ჩვენი ცხოვრებების გადაღმა, მოაჯირებზე“ „რა ძერსკი ბავთაა, მას, ძალიან გიხდებათ, მარა, მგონი, ცოტა გიჭერთ“

„მას, პარალელური კლასი მომავალ კვირას ექსკურსიაზე მიდის და წავიდეთ რა ჩვენც?“ „დღეს თმა შეიჭრა“, „ზინზინაოდელა-ზინზინაოდელა-რანინა, ზინაოდელა რანინა“, „ერთი, ორი, სამი, ოთხი, ოცდახუთი...“ „წუხელ სექსი არ მქონია, არც იმის წინ, არც იმის...“ „იღებ ქვას და ისვრი. იღებ



ქვას და ვარდება უჯრაში. იღებ ქვას და ხტები“, „იქნებ თქვენ ჩვენ სულაც არ გჭირდებათ?“ „იქნებ თქვენ ჩვენ სულაც არ გჭირდებათ?“

როგორ უნდოდა რამე ხმაური, რამე, თუნდაც უმნიშვნელო, თუნდაც არასწორი, ზღვრული, ნაწილობრივი, დანაწევრებული, საიდანმე გამოპარული, რამე ხმაური, რამე ამბავი, რამე საკუთარი თავიდან.

— ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, — ჩაილაპარაკა.

კაცის თითები უუნარო, უარაფრო მის ყელზე. დასცხა. ფანჯარასთან მივიდა. ქალაქში წვიმდა. ქალაქში, სადაც თითქმის ერთი თვეა, არ უწვიმია.

— მე ზინა ვარ. თქვენი მასწავლებელი ზინა და მე არაფერი ვიცი ცხოვრებაზე („თქვი, ერთხელ ცხოვრებაში გაბედე და თქვი“ — იფიქრა). მთელი ბავშვობა ჩემი სახელის მრცხვენოდა. მე ზინა ვარ, რომელსაც ასწავლეს, რომ ჭეშმარიტება ზედაპირზეა და სიღრმეში ჩასვლა არაა საჭირო. ამიტომ, სულ ზედაპირებს ვქექავ-

დი და სარდაფებს გავურბობდი, პრობლემებს საბანს ვაფარებდი და საწოლის ქვეშ, ღრმად ვჩუქებოდი (ორჯერ ოცდახუთ თვალში სირცხვილი და სინანული ჩადგა). ერთხელ მე, ზინა, მეთერთმეტეკლასელიც ვიყავი და მწვანე ნუშებს ვჭამდი. მარტო არა, ერთ ბიჭთან ერთად ვჭამდი მწვანე ნუშებს და ქართულის გაკვეთილის შემდეგ ხევიში გაქცეულს გვეგონა, რომ ერთმანეთს ლექსებს თუ წავუკითხავდით, ჩვენს სიყვარულს და ქართულ რომანტიზმს ერთად გადავარჩენდით. მერე ერთხელ თმა შევიჭერი და იმ ბიჭმა გამარტყა. მერე ერთხელ თმა გავიზარდე და იმ ბიჭმა ცოლად მომიყვანა. ჰო, მე ზინა ვარ, რომელსაც ეგონა, რომ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩათვლებში მალალ ქულეებს თუ მიიღებდა, ყველაფერი ეცოდინებოდა. ამ დროს კი ჩემი ჯგუფელები უსმენდნენ ჯაზს და როკს, კითხულობდნენ მანს და ვულფს, აგინებდნენ ამერიკულ პოეზიას და ტედ ჰიუსს, რომელმაც სიღვია თვითმკვ-

ლელობამდე მიიყვანა. მე კი ვიჯექი და ვკითხულობდი: ქართული რომანტიზმის ეროვნულ საფუძვლებს: მანანა კაკაბაძე; რედაქტორი: გ. აბაშიძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. და მე ვკითხულობდი სხვის დაწერილ საფუძვლებს და ცხოვრება კი მიდიოდა და „მდინარეები მიაბიჯებდნენ ჩვენი ცხოვრებების გადაღმა, მოაჯირებზე“ — სადიპლომოს შემდეგ ასე ჩავწერე.

ოცდახუთი წყვილი თვალი უყურებდა. „სანიშნო“ ფეხზე იდგა. ქორო აღარ ისმოდა. სათვალეიანს წიგნი დაეხურა. აიფონები მერხებზე იდო. მერვე და მე-თორმეტე თვალეზამრგვალეებულები. აღარც ელექტრონული მუსიკა, აღარც ჯაზი, აღარც „ზინზინაოდელა“ — მარტო უხერხული სიჩუმე, ბანრად გამოკიდებული ზინას და ამ ოცდახუთს შორის.

ვილაცას რაღაც უნდა ეთქვა. აუცილებლად უნდა თქმულიყო რაღაც. თუნდაც მცდარი.

— მას, ქართული რომანტიზმი ტყუილია? — მოულოდნელად გაჭრა სიჩუმე ქოროს ერთი წევრის ვითომ უდარდელმა ხმამ.

— და მე ვიცოდი, რომ მწერლები იყიდებოდნენ ერთ პალტოზე, ერთ დეზადორზე და ერთ ომზე, რომ პაილომ თავი იმიტომ მოიკლა, რომ მაინც კლავდნენ, რომ მიხილ ჯავახიშვილს გმირობის გარდა, სხვა გამოსავალი არ დარჩა, რომ ჩემს ბარათაშვილს, ჯერ კიდევ ჩემი ცხოვრების რომანტიზმის გაკვეთილში ეძინა, იქ, სადაც...

— იქ, სადაც „ჩვენ ვიცით, რომ ფასადები ძალიან ღამაზია, ძალიან ჰგავს ნამდვილს და რომ მათ წინ შეიძლება წარმოადგინონ კომედიებიც და ტრაგედიებიც?“ — წამოდგა სათვალეიანი.

თითქოს რაღაც აუცილებელი ტვირთი მოიხსნა. ტვირთი, რომელსაც ძალიან დიდხანს ატარებდა. მერე მალაქუსლიანი ფეხსაცმელი გაიძრო. ფეხშიშველი დადგა, ყელიდან ყაყაჩოებიანი ბავთა მოიძრო და ვითომც არაფერი, განაგრძო:

— ზუსტად. ან იქ, სადაც მე ზინა ვარ, რომელმაც ყაყაჩოებიანი ბავთა მოვიხვიე იმისთვის, რომ თქვენ ეს არ დაგენახათ (ორჯერ ოცდახუთმა თვალმა ზინას ყელზე სილურჯების კვალი შენიშნა), სადაც არანაირი რომანტიზმი არ არსებობს, სადაც მე ქმარი მცემს და არ ვიცი, ადამიანს, საკუთარ ცხოვრებიდან გადმოიხვიება ასე ძალიან რატომ უძნელდება, ან იქნებ იქ, სადაც:

„ვითა შეპულა არხვის ნელნელა სპეტაკს შროშანას, ღამაზად ახრილს, ასე საყურე, უცხო საყურე, ეთამაშება თავისსა აჩრდილს.“

— გადმოაბიჯე, — ქორო.

— ზინზინაოდელა, ზინზინაოდელა, რანინაა, — ქორო.

— ბავშვები იყოფიან წვიმისგულიანებად და ნაჯახისპირიანებად, — ქორო.

— What A Wonderful World... — ქორო.

— თქვა თუ არ თქვა ეს ყველაფერი? — ქორო.

— ჩარჩო თუ ილუზია?..

ეს ხეივანი. ეს ჭადრები, მოყვითალო წრეებს რომ ტოვებენ მის მუქ, ლურჯ პიჯაკზე. ძუძუებიც ზევით, თვლებიც ცხადად, პირდაპირ იყურებიან. როგორც 15 წლის წინ, ხეივანიან გზას გადის. შემოდგომაც თითქოს ბავშვურად, ოდნავ მიაშიტურად, თმაზე აყრის ჭადრები ბუსუსებს, ოღონდ ეს სხვა გზაა, ეს ის გზაა, სადაც ადამიანს საკუთარი ცხოვრებიდან გადმოიხვიება ასე აღარ უძნელდება.

ორჯერ ოცდახუთი თვალი უყურებდა, როგორ მიდიოდა ჭადრებისკენ სკოლის ფორმაში გამოწყობილი.

მეთერთმეტეკლასელი. ასკინკილით. ცარცით დახაზული უჯრებისაკენ.

„იღებ ქვას და ისვრი. იღებ ქვას და ვარდება უჯრაში. იღებ ქვას და ხტები. ერთიდან ცხრამდე. და უკან. და ისევ. თამაში ასეთი: ერთი ამბიდან მეორეზე, ერთი თამაშიდან მეორეზე, ერთი ცხოვრებიდან სხვაზე, მთავარია, გაძერე. მთავარია, გადარჩე“.



დათო მალრაძე

ფლირტის კაპაქა

მე, მონამ ღვთისამ, ელგუჯაის ძემ,
სახელად დათომ,
მალრაძემ გვარად.
ამხედრებულმა ჯაგლაგ ტაიჭზე
თავი ვიგრძენი მიუსაფარად.

მე ლექსის გმირი და არა მონმე,
რადგან ნიაღვრის მომწვდა ფაფარი...
შეგთხოვ, რომ
შენი ქოლგის ქვეშ მომცე
პოლიტიკური თავშესაფარი.

დილიდან ჰაერს ნამლავს ART TV, —
სიყალბე ეძებს სტუმრობის მიზეზს...
რიგდება სიტყვა გაჭრილ კარტივით,
...პოეტი ამ დროს
აცხადებს მიზერს.

აფეთქდებიან მალე იები,
ფეხით შეეყვებით მშობელ მზიანეთს,
ლიტ-რატურული დისკუსიები
დარჩეთ დისკუსის ხურუშიანებს.

ალარ მაკვირვებს ღრენა და ეშვი
და ფეისბუქის ღვარცოფიც ამცდა,
ღვინით და პურით შემოდის ჩემში
თავშენიერულის ფიქრი და განცდა.

და ვგრძნობ იესოს ტერფის სიშიშველეს...
ვცნობ ნათლისმცემელს ჯვალოს ჯუბათი...
და მჯერა, შენი ქოლგა მიშვილებს,
ის არის ჩემი ტაძრის გუმბათი.

ის დამავინყებს ელამი მტრის ჯავრს,
გადასახადის საშინელ ციფრებს,
ქოლგის ტაძარში დავინერ პირჯვარს,
გუმბათის ყელში მტრედვივით ვიფრენ.

გამკრავს ადამის ნეკნის იარა,
უფრო შორს წავალ,
შენ ოლონდ მენდე...
ჭერზე „განდევნის“ ფრესკას კი არა,
ავრეკლავ, როგორ ვიბრუნებთ ედემს.

წყლის პედანტალი

მე მეშინოდა შიშის და შიში,
ვცდილობდი, რომ არ მომეშვა ახლოს,
ამიტომ ვეღარ დაგტოვეთ ჩრდილში,
დედის თავშალო
და მამის სახლო.

მე თქვენს შესახებ ვდგავარ და ვყვები,
ვწერ სიმფონიას სიტყვის ნოტებით
და არაერთხელ განცდილი გზებით
სიშორეს თქვენსას ვუახლოვდები.

მერე ვარსკვლავი თქვენსკენ მოელტვის,
ცარიელ ჯიბით ზეცა ვიშოვე...
ის გზა მარბუნებს უკან ყოველთვის,
რომელმაც მამცნო თქვენი სიშორე.

...თემა რომ უფრო კარგად განვავრცო,
გამხნევებული პოეტის ბედით
შეეჭვებული, პეტრეს სანაცვლოდ,
წყლის პედესტალზე იმედით ვდგები.

და ყოველ დილით ვინყებ თავიდან,
მისმენს გამგონი,
მიღრენს მდაბიო,
და გადმოსული წყალზე ნავიდან
ტერფით ვეხები ტალღის ამბიონს.

და მითხრა რაბიმ, ეს წმინდა ცეცხლი
ჩამქრალ სანთლებზე გადაანთო.
ნამოდი წყალზე
და ბუდეს მერცხლის
ისე შეხედე, როგორც პანთეონს.

...მე მეშინოდა შიშის და შიში,
რამდენიც მომწვდა, — ვუჩვენე ენა,
ამიტომ ვეღარ დაგტოვე ჩრდილში,
თუკუნე გავფინე
ეჭვი და რწმენა.

კაფე ზღვის პირას

ეს ყველაფერი დაიწყო ასე, —
ქალაქში გაჩნდა მისი აფიშა
და ოვაციით
და ტაშით სავსემ
შემოიხედა პორტის კაფეში.

და უცბად კაფე იქცა სავანედ
და აღარავინ როშავდა უშვერს
და ხელის ნაზი, მკრთალი მტევანი
უალერსებდა შამპანის ფუჟერს.

თითქოს ვენებში გაიქცა დენი,
ეჭვიანობის შეირხა აფრაც,
ადრე თუ სახლში ელოდნენ თმენით,
ქმრებს მოაკითხეს ცოლებმა სწრაფად.

— დიადო წამო,
წამით შეჩერდი!
რომ დროის ურდოს მოვტაცო ქალი
და როგორც სიგელს გერბის ბეჭედი,
შერჩება ფუჟერს შამპანის კვალი.

...დღეს ტურისტების არ წყდება რიგი,
კედელი უხმოდ ელოდა მგოსანს,
რომ წაენერა:
— აქ იჯდა იგი,
ამ ბოკალიდან შამპანი მოსვა.

**პატიჟია
მკვლელობა თბილისის ქუჩებში**

— აქ განისვენებს ჩემი ქალაქი, —
ქვა ამ წარწერით
დავუდე ამწეს
და თუ მეყოფა სიტყვის მარაგი,
კვირის გაზეთში ნეკროლოგს დავწერ.

თხოვნით მიემართო მინდა მერიას,
რომ გაიხსენოს წესი მეფეთა.
რადგან ტენდერი საომარია,
ქვაზე წარწერის მომცეს შეკვეთა.

— აქ განისვენებს ქალაქი ჩემი,
არ უწვალა,
ბნელში გათავდა,
რადგანაც დანით გადაჭრა დენი,
ვიდრე ისწავლა დათვლა ათამდე.

ქუჩაში მოკლა ავსილმა შურით
ჩემმა ქალაქმა
ჩემი ქალაქი,
ქვაზე წარწერა კი ამცნობს ტურისტს,
რომ შეენირა City ხარაკირს.

და იყო მხდალი ქალაქი, რადგან
არკვევდა საით უბერავს ქარი...
და მკვლელის მხარეს ადგა და დადგა,
არ ეშინოდა რადგანაც მკვდარის.

დანაშაულის იშლება კვალი,
საქმეც ხუნდება თაროზე დებით...
და ისმის ჩუმი ქვითინი ქალის
და აღარ ისმის სიმღერა დების.

დაყრილ ჭორიდან კენკავენ მართალს,
დაეცემიან იესოს ფერხთით
ლაზარეს დები, —
მარიამ... მართა...
და ძმის აღდგენას შესთხოვენ მკვდრეთით.

და მეც მივმართავ თხოვნით მერიას,
რომ რვიდან ცხრამდე გაისმას მესა
და თუკი ცრემლი ვერ მომერია,
ამ შესანდობარს ბოლომდე შევსვამ.

ვრჩები უბანში თითქმის ეული,
ვადა გასვლია ვირუსის წამალს
...ალარც სამოსის და თეთრეულის
თოკზე გაფენის სომხური გამა.

ხელი ფანჯრიდან

ხელში ჩამაკვდა დაფნის ეპოქა,
ალორძინების სამრეკლოს ზარით, —
ასე მივწერე ჩემს ერთ მეგობარს,
როცა მურანოს გაუჩნდა ბზარი.

და მიჩნეული ერთ დროს ერესად
ლიტურგიაში დაეძებს ნიშას —
ვგულისხმობ თუნდაც
გვიან რენესანსს,
რაც ჩვენებურად აღმასვლას ნიშნავს.

...და უთხრა ზეცას:
— ო, ელი, ელი...
ელიას უხმობს? — ვიფიქრე ჩემთვის,
კვდება ახალი, სიკვდილით ძველით
და ბალში შაშვის გალობას ერთვის.

აქ ჩასაფრებულ ვნებებს აქეზებს
და პოდიუმის ბილიკით მოდის,
ვენეციური ნიღბით სახეზე
კანონმდებელი ახალი მოდის.

ახალი ტრენდი, — ძველი რომია,
პროგრესის ლურსმანს აჭედებს შემწეს.
და ვირჩევ მხარეს,
რადგან ომია
და ჭირისუფლის სამკლაურს ვეძებ.

ფანჯრიდან მიცქერ და ალბათ ფიქრობ, —
უკან ჩამოვრჩი კალენდრის სუნთქვას,
მოდა რომაელ ჯალათებს იკრობს,
„წყალნი წავლენო...“, —
ლამაზად უთქვამთ.

...ისე, შენთვის რომ იფიქრო კაცმა,
რა უნდა მოხდეს ამაზე მეტი,
ალორძინების იხილო ჯვარცმა
და განმდეს მისი აღდგომა მკვდრეთით.

კითხვის ნიშანი

დარჩებიანო ბოლოს ქვიშანი,
ან იქნებ წყალმა წაიღოს ქვიშა...
ამ სტროფის ბოლოს კითხვის ნიშანი
დაუთმობს ადგილს ძახილის ნიშანს?

ზოგჯერ მეჩვენა,
ჩვენივე ღერძების გარშემო ვტრიალებთ
და გვაინყებდა, რომ სამყაროს ცენტრები არ ვართ
და კიდევ რაღაცის გარშემო უნდა ვტრიალებდეთ...
და თუ ეს რაღაც დავკარგეთ?
ან დაგვაინყებდა?
და თუ შენყდა მიზიდულობის ძალა?
და თუ განყდა უხილავი ძაფები?
მაშინ რატომღა ვტრიალებთ ჩვენივე ღერძების
გარშემო?
თავბრუსხვევისგან რომ გულები აგვერიოს
და დაუღეჭავად ჩაყლაპული პრობლემები
ამოვარწყიოთ?
იქნებ გავთავისუფლდეთ
ფერუხვი ტოქსინებისგან?
იქნებ მოგვიდუნდეს
დაბოტოქსიკური კუნთები?
იქნებ შეგვეგრილდეს
გადამწვარ სულებში?
იქნებ მოგვიღებეს
გაბოროტებული გულები?
იქნებ...
იქნებ ვიპოვოთ, რაც დავკარგეთ?
ან დაგვაინყებდა?
იქნებ დასრულდეს
უახლესი ეპოქის ციკლი?
იქნებ მოვრჩეთ საკუთარი ღერძის გარშემო ტრიალს!

უუუდიანი, უუცხოანი, უსასტიკანი

რის ნაპოლეონ, რა ბონაპარტი?
ვინ ალექსანდრე, რის მაკედონელი?
ვინ ყრუ და კოჭლი, ბრმა და უსისხლო,
ვინ ვინ და ვინ სად?!
მაგრამ ვერავინ მოახერხა
დაეპყრო მსოფლიო მასავით —
უომრად, უტყვად, ურცხვად, უზადოდ,
უუცხოესი უბრძოლველი ხერხებით,
უმისამართო,
უსაფუძვლო იმედებით,
უმოკლესი, უზიგზავო გზებით,
უხილავი ქსელებით,
უხილავი საცეცებით,
უხილავი კავშირებით...
ფიჭური, ხაზური, წრიული, კვადრატული,
ჰორიზონტალურ-ვერტიკალური,
ვირტუალური...
ქსელი ნამალია,
ობობას ქსელიო, — ასე ამბობდნენ დიდი ბებიები...
და ქსელებს ეძებდნენ, ჭრილობებს აფენდნენ...
...ქსელებით შეფუთეს სულები, მზერები,
დაქსელეს ფიქრები, გრძნობები, გზნებები,
გატეხეს საკეტები, დაღენეს კლიტები,
გამოთქვეს ყველაფერი — დაპოსტეს, დათაგეს...
ქსელებმა გადააბა სამყაროს ნაპრალები,
ქსელებმა ამოავსო ზღვები და სივრცეები...
ქსელებში წარღვნასავით მოთქეშდა გაორება,
ფრენდებში — მარტოობა, ფერდებში — სიცივე...
დაულაიქე და ყველასთან იცინე,
თუ იცან ნაცნობი, რა გიჭირს!
თუ მართლა ახსოვხარ, გახსოვდეს!
მაგრამ როგორ უნდა გაიგო —
ნაცნობს არ ახსოვხარ, უცნობი გილოცავს!
ქსელებმა ჭრილობებს უშველა?
არ ვიცი, შეცვლილან ქსელებიც...

ვინ ამოხსნის განტოლებას?

ქუჩაში დადიან ტვიქსებად,
ერთ ჭერქვეშ ხდებიან იქსები...
ლექსო, მე რატომ მერემიქსები,
ანგელოზის მწამს, არა ვინქსების?
თითქოს უხილავი ჩართეს მიქსერი,
ადღვიბეს, აზილეს, გლისანდო-კიქსები,
ვირტუალ-ტორტები — ლაივში კექსები...
განქიქეს სოფლელი ბიჭის ლექსები,
სხვას კი გამოუჩნდა მეხოტბე-ქლესები,
აჩუქეს განა ტიტები, მესები...
და ჩემს გულს დაცენცილს მეებად ვესევი,
მაგრამ ვერ ვნაყრდები, მაგრამ ვერ ვივსები...
ქუჩაში დადიან ტვიქსები,
ანგელოზს ურჩევნიათ ვინქსები,
ერთ ჭერ ქვეშ ხდებიან იქსები,
თუმცა...
რა იქსები, რის იქსები?!

რა ეშველება...

რომ მოწყდეს სადღაც სივრცეებში გამორჭობილი
თანამგზავრი თავის ორბიტას...
რა ეშველება უსასოდ დარჩენილებს?
რომ მოწყდეს სადღაც სივრცეებში,
უხმოდ დაინთქას,



**ნინო
ნასყიდაშვილი**

უახლესი ეპოქის ციკლი

რა ეშველება უმიზნოდ დარჩენილებს?
რომ მოწყდეს ერთხელაც,
გაქრეს და ამით სახელი გაითქვას,
რა ეშველება ობლად დარჩენილებს,
უქილიკოდ, უკომენტაროდ, ულაიქოდ?
თუ ვერავინ დათაგეს,
თუ ვერაფერი გააზიარეს,
თუ ვერავინ მოინონეს,
თუ ვერავის დააფრქვეს ბოლმიერი ღიმილები...
თუ მიწა იძრა,
ხელს ჩაავლებენ ლეპტოპ-პლანშეტებს
და მინდვრებისკენ გაქანდებიან
(თუ იპოვიან)...
თუ ზეცა იძრა?
და სულ ყველა თანამგზავრი აცდა ორბიტას?
რა ეშველება?
რა ეშველება??
რა გვეშველება???

თანამედროვე ზეცა

ცას ცალ ყურზე უკეთია საყურე,
გაყურებს სივრცეები ვარსკვლავებმა.
ფილმს ვიყურებ, თითქოს ასჯერ ნაყურებს,
დამლელია მოწყენასთან შეგმა.

ცას ცალ ყურზე უკეთია საყურე...
არია მომხდარი და მოსახდენი.
არაფრობის ტაქტი ვეღარ დავხურე
და ყრუ ბგერებს ალბათ სადმე გადავდენი.

რიტმებს, რითმებს, ლეგატოებს და ლიგებს
უცნაური ხმაურები აპაუზებს.
ვინ მოუსმენს ანდა ვინ დაალაგებს?
ქაოსები მოსწყურვით მუზებს...

ვინ მოუსმენს ზეცასა და ვარსკვლავებს?!
ვის ჭირდება ამ სამყაროს ანამნეზი?!
ძე კაცისა ყოველს მიმომკვდარებს
განივთებულ-ქვახევებულ მზერით.

ცას ცალ ყურზე უკეთია საყურე,
ძველია და არ სჭირდება შეგუება.
ფიქრლიტოში სამომავლოს გავყურებ,
კვლავ ხშიანობს ვარსკვლავების კრება.

სარკასტული „ხვალ“

იმ კვირაში სადღაც რომ აყვავდება საკურა,
იმ კვირაში ვიკეთებ შენს ნაჩუქარ საყურეს.
იმ კვირიდან მექნება იმიჯი კლასიკური,
იმ კვირიდან არ შევჭამ ცომეულს და პიურეს.
ნიუტონი გავხდები ან მარია კიური,
მსურს ან პროფესორობა ან დიული იური?
მაკიაჟიც მექნება, კიდევ მანიკიური...
იმ კვირიდან განწყობა ხდება „ფანტასტიური“!
იმ კვირაში დავფარავ კრედიტებსაც, ვალებსაც,
ეს ლიზინგიც წავა და ახალ სახლსაც გავვლესაც.

ალარ გამახსენდება იპოთეკა-ყადაღა,
ოვერდრაფტი, ლომბარდი, პროცენტების გადახდა.
როდინობის კვირაში... ვინ მპირდება (მიკვირს!) რას!!!
ოთხშაბათი არ მანყობს, ხუთშაბათი მიზიდავს...
იმ ორშაბათს...
იმ შაბათს...
იმ პარასკევს...
იმ კვირას...
ვინყებ ახალ ცხოვრებას მოულოდნელ სიზმრიდან.

მოულოდნელად გაგრძელდა თითქოს
არასებული დრო და მანძილი
მას და მას შორის...
უბრალოდ, უცაბედად, უნებართვოდ, უნებლიედ...
უბრალოდ მოენატრა მამას
ბებოს ნაკმაზი ღანძილი...
უბრალოდ...
სახე, გულწრფელი თვალებით,
ნათელი სიტყვა, არას ნაცვალები,
მარტივი შეხვედრა, მარტივად გაგება
გახდა უცაბედი...
დამოკლდა დღეები და
დაგრძელდა ღამეები
საუბრებში მეყსეულად გასულები.
და საბანში გასუსულებს
დაგვაინყდა მონატრება...
გვემატება სიმორე და
იმშორება სიმარტივე გულგრილობის.
რა გათვალვა, რის გიშერი!
ვერ გიშველის განმარტება და ახსნები.
არარსებულ დრო-სივრცეებს,
სიცივეებს,
სიფითრებს
ითვლი, როგორც საფეხურებს.

ახალი აპრილი

მტკვრის აღარ ისმის დუდუნი.
ალარაფერი ზღაპრული!
მარტი ვალებს არ უბრუნებს,
გადარეულა აპრილი.

რატომღაც მაღლი დამლაშდა,
ხანაც გამწარდა მარილი.
მარტი ვერ მორჩა თამაშს და
გადარეულა აპრილი.

ღრუბელს, მზის სისხლით გაღებულს,
წვეთს შესთხოვს მიწა ქვაგრილი.
მარტი იხრჩობა ვალეებში,
გადარეულა აპრილი.

მოდის დილა და
აღისფერს რამებს მოაჭენებს ოქროს ალვირით.
ჩვენ კი რატომღაც დილა მწუხრის ხმაში აღვრით.



— ალო, ალო, ალო-მეთქი, გისმენ, ხმა ამოიღე, დამელაპარაკე! — შუახნის მამაკაცის ნამძინარევი ხმა. ნამძინარევი და დალილი, — დედას გიტყვებ, ვინც უნდა იყო! ხომ დაგბლოკე, რანარად ახერხებ?! რატომ არ იღებ ხმას? შენი მკვდარი და ცოცხალი...

გადაღლილი — უმეტესად საღამოს საათებში — 7 საათის მერე პასუხს აღარ ელოდა, ეგრევე გინებაზე გადადიოდა. ანონიმური ზარები აუცილებლობდაც კი ექცა... ვინმეზე და რამეზე თუ გაბრაზდებოდა, ჯავრს იყრიდა.

ჯერ სახლის ტელეფონზე, შემდეგ კი მობილურზეც ფარული ნომრიდან ურეკავდა. ურეკავდა და სდუმდა. ისიც კი გაიფიქრა, ეგება მუნჯი მირეკავსო, მაგრამ იქვე დაამატა, ალბათ ყრუცააო, თორემ ამდენი რეკვა და მერე გინების მოსმენა ნამდვილად მობეზრებოდაო.

სახლის ტელეფონის შემთხვევაში შედარებით ადვილი იყო თავის დაღწევა, სისტემიდან გამორთავდა. მობილურს კი ამ ერთი ფარული ნომრის გამო ვერ გათიშავდა, უამრავი საქმე ჰქონდა და მისი ცხოვრება თუ რამისაგან შედგებოდა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სატელეფონო საუბრებისაგან... და საერთოდ, ბევრჯერ დაფიქრებულა, როგორი იყო სამყარო ტელეფონის არსებობამდე... ჩუმი და უტყვი. სიტყვა სიტყვა არ იყო და პასუხი პასუხი... უფრო სწორედ კი, სიტყვა ტყვიასავით მძიმე და პასუხი დეპრესიასავით დაგვიანებული... ახლა სიტყვაც უფრო მსუბუქია და პასუხი იმაზე დროული, ვიდრე შეკითხვა... ასეთი რამ სჭირდა უსულო საგანში საუბარს დაჩვეულს, ვინმე რომ საქმიან შეხვედრას დაუნიშნავდა და ცხვირინ დაუჯდებოდა, კომუნიკაცია უჭირდა, აბნეოდა, ენა ებორკებოდა, სიტყვებს ეძებდა...

სახლის ტელეფონი ჯერ კიდევ იმ დროიდან შემორჩა, დედა რომ ცოცხალი ჰყავდა... ძველი აპარატი ედგა, ანტიკვარული, მხოლოდ დედას თუ ურეკავდნენ ძველი მეგობრები. რაც მობილური ტელეფონი შემოვიდა ხმარებაში, დედის ახლობლებმაც პანტაფონით იწყეს კლება... ბოლოს დედა მარტო რომ დარჩა და ზარებიც გაქრა, ერთი კი გაიფიქრა, ახალ მობილურ ტელეფონს ვუყვიდიო, მაგრამ ეს სიტუაციას ვერ გამოაკეთებდა — რა მნიშვნელობა აქვს, სახლის ტელეფონი გექნება თუ მობილური, როცა არავინ გირეკავს?!

დიდხინიანი დუმისის შემდეგ პირველად რომ დარეკა სახლის ტელეფონმა, ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს სხვა სამყაროდან სულ სხვა დროში გამოგზავნილი სიგნალი იყო. ჯერ ზარის განსხვავებული, მაგრამ ნაცნობ ხმას დაუგდო ყური. რომ გამოერკვა, ტელეფონი ეძებდა... როგორც იქნა, განჯინის ქვეშ, კუთხეში მომწყვედული იპოვნა.

— ალო, გისმენ, გისმენ, უკაცრავად, არ ისმის! — ეს იყო მისი ის პირველი სიტყვები, მთავარმა მწვალებელმა, ქალმა სახელად ადა, რომ მოისმინა. ხმა, რომელიც ყველაფერს ამბობდა, თუნდაც იმას, რომ უხაროდა უცნობი და უცნაური ზარი, თან ინტერესიც კლავდა, ვინ რეკავდა სახლის ტელეფონზე. კაცს ეგონა, რომ მის ტელეფონს სჭირდა რაღაც და ხან ყურმილის უკეთ მორგებას ცდილობდა და ხანაც — კაბელის გასწორებას. იმედგაცრუებულმა ყურმილი რომ დაკიდა და ახალმა ზარმაც არ დააყოვნა, ისევ იგივე ბედნიერი და მომლოდინე ხმით უპასუხა... მაგრამ, ძალიან ბევრი მცდელობის შემდეგ, როცა კარგად გამოერკვა და მიხვდა, რომ ვიღაცის სათამაშო ობიექტი გამხდარიყო, გინების კასკადმაც არ დააყოვნა:

— დედაჩემს თუ ურეკავთ, აღარაა. ხუთი წლის წინ, ცამეტ ოქტომბერს გარდაიცვალა...

— აზაზოჩენი ხარ. იმედია, ქალი მაინც ხარ. მაგრად გატყვავს, თუ კაცი ხარ. თუ კაცი ხარ, დაგასახიჩრებ... ვიყავი იმაში... მითხრეს, დაფარულ ნომერს ვერ ვარკვევთო, ნებართვა გვინდაო... დაშიფრულიაო... რომ ავიღებ ნებართვას, გავარკვევ, ვინ ხარ, სად ცხოვრობ... დედას გიტყვებ, სადაც უნდა იყო, ნახავ!

— ახლა მაგარი ნასვამი ვარ და კეთილი. დიდი საამოვნებით გცემდი. მაგრად გცემ, დაგასახიჩრებ, მთელს ჯავრს შენზე ვიყრი... — თქვა და მიიძინა.

ადას ესმოდა უსწორმასწორო, ლამის

ხვრინვაში გადასული სუნთქვა. მშვიდად უსმენდა ლოყასთან მიწებებულ ტელეფონს და დროდადრო ჩუმად ნაიბურტყუნებდა...

— მე ვარ, მე. ისევ აქ ვარ, შენი ნომერი კი მაინც შენი ნომერია...

სრულ ჭკუაზე რომ იყო, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. სრულ ჭკუაზე ყოფნისა და ადეკვატურობის საზღვრებს თუ იმის მიხედვით დაადგენდნენ, რომ უცხო და უცნობ კაცს საშუალოდ ყოველდღე ორჯერ ურეკავდა და ხმას არ იღებდა, ამგვარი რამ სრულიად დამახასიათებელია თინეიჯერი გოგონებისთვის.

თინეიჯერობის ასაკს წინა საუკუნეში მიაღწია და იმავე საუკუნეში გადალახა კიდევ — იმ დროს კი მსგავსი არაფერი ჩაუდენია... ნაიკითხა, რომ კრიზისული ასაკის ქალბატონებს ხშირად ემართებათ უცნაურობები და ცდილობენ იმის ანაზღაურებას, რასაც თავის დროზე სათანადოდ დრო და ყურადღება ვერ დაუთმესო... თუ ვინმე მიადგებოდა და ამის გამო გაკიცხავდა, პასუხი მზად ჰქონდა, იცოდა, რაც უნდა ეთქვა. სჯეროდა, მისი ვი-

მარიკა მამალაძე

სხვა მწერალი



ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ნაობის დადგენის შემთხვევაშიც კი, ის უცნობი ისეთს არაფერს ჩაიდენდა, რომ დაეზარებინა... დიდი-დიდი ეგონებინა, რასაც იქამდეც წარმატებით აკეთებდა და გიჟადაც გამოეცხადებინა — არც ეს უკვირდა, ეგეთებიც მოსმენილი ჰქონდა.

ადა მოთხრობებს წერდა, ცუდად არ გამოსდიოდა, თუმცა ბოლო რამდენიმე წელი რომანის დანერგა ლამობდა. ხუთი რომანი მაინც ჰქონდა ნამოწყვეთი, ორი ბოლომდეც მიყვანილი, მაგრამ არც ერთს ეხილა მზის შუქი, ანუ დაბეჭდვა. რომანი რომანს არ ჰგავდა და იმას, რაც თავის თავს არ ჰგავდა, სხვასაც არ ნააკითხებდა. ექვსი წლის წინ ერთ-ერთ ტელევიზიაში სერიალის სცენარისტად დაიწყო მუშაობა, ეს იყო მისი ერთადერთი ფიქსირებული სამუშაო ადგილი — შტატშიც იყო და ყოველ თვე არც თუ ისე მცირე ჰონორარსაც იღებდა... არც რეიტინგი აკლდა იმ ტელესერიალს და არც ერთგული მაყურებელი, მაგრამ ადა თავს წარმატებულად მაინც არ მიიჩნევდა... სულ ეგონა, რომ არაფერს აკეთებდა, ან თუ აკეთებდა, ისე ანა, როგორც უნდა გაეკეთებინა.

მას სტუდენტობისას დაეჭვია, ნელ-ნელა და შეპარვით... მართალია, მხოლოდ ერთი ყლუპით დაიწყო და მაგრადაც დაიჭყანა, მერე კიდევ მრავალჯერ გაიმეორა და ისევ იმდენჯერვე დაიჭყანა. როცა მიხვდა, რომ გემო მეორეხარისხოვანი იყო იმ განწყობასთან შედარებით, რაც სასმელს მოჰქონდა, უკეთ გარკვევა დაიწყო და ბოლოს ისე დაოსტატდა, მოგიყვებოდა რა რეგიონისა და რომელი წლის მოსავლის ღვინოს სვამდა... თამამად შეიძლებოდა, სომელიე გვეწოდნენ მისთვის... შეპარვით და თავბრუსხვევით დაიწყო. ჯერ დიეტა მოიშველია, ძილის წინ ერთი ჭიქა აუცილებელია, ცხიმი რომ დაშალოსო... მერე თავსაც აღარ იმართლებდა, უბრალოდ დაძაბულობის მოხსნას, მოდუნებას ცდილობდა... დრო რომ გავიდა, დოზა გაზარდა და დღეში სამ ჭიქაზეავიდა — თავს

იგულიანებდა, იმიტომ კი არ ვსვამ, რომ მიყვარს, იმიტომ, რომ მადუნებსო...

პირველი ჭიქის დაცლა შესავალსჰგავდა, მეორემდე დასაწყისს ვერ აცნობიერებდა, მესამეზე გრნობდა, რომ კარგად იყო და მოსწონდა. მეოთხე უნდოდა, რომ წინა სამი არ დაეკარგა. როგორ ემატებოდნენ მეხუთე, მეექვსე და დანარჩენები, აღარ ახსოვდა. ყველაფერი თავისით მიდიოდა, ის მხოლოდ ტემპს მიყვებოდა. იმ მომენტის დაჭერა, როცა ყველაზე კარგად იყო, არც უფიქრია. მთავარი მომენტის დაჭერა კი არა, პროცენია. მხოლოდ პროცენში გრძნობს ადამიანი ბედნიერებას, არა უძრაობაში... მერე აკითხავდნენ ფიქრები და იძირებოდა იმ სამყაროში, ასე ძალიან რომ უყვარდა...

ლაპარაკი უნდებოდა, და ზუსტად ამ დროს, როცა ლაპარაკი უნდებოდა, გადაშლიდა ამ თავის სცენარს და იმაზე და იმდენს ლაპარაკობდა გმირების პირობით, რამდენიც უნდოდა. მაგრამ მაინც, ეს სულ სხვა საუბარი იყო და უთქმელი რჩებოდა მთავარი... ისე ჩქარა მოდიოდნენ და მიდიოდნენ აზრები, გვერდით კი არავინ ჰყავ-

ბახუსს უნდოდა... ასე გადაჰქონდა კრიზისები.

ზამთარი უყვარდა, ბევრი საქმე ჰქონდა; ზაფხული, ამავე მიზეზით, ნაკლებად... ზაფხული ყველაზე მოსაწყენი პერიოდი იყო მის ცხოვრებაში. ისვენებდა... დასვენება კი ისეთი მოსაბეზრებელი რამაა, სადაც უნდა იყო, მაქსიმუმ ერთი კვირის გადატანა შეძლო უსაქმოდ. უსარგებლობისა და უმოქმედობის განცდა გიტყვის. სიცხეების გადაგორების მეთოდით მოფიქრებული ჰქონდა — რომანი უნდა დაენერა, ეს კი სერიალის სცენარის წერასავით ადვილი როდი იყო...

იმ დღეს ქმარმა რომ უთხრა, სტუმრებს ველოდებით, დილაადრიან ადგა, ბაზარში წავიდა. ისე ადრე მოუვიდა, რომ ჯერ ძირითადი მოვაჭრეებიც არ მისულიყვნენ დახლთან და გადაწყვეტილებებს ელოდნენ. ივაჭრა. ქვეყნად ცოტა რამ თუ უხაროდა ისე, როგორც ფასს რომ უკლებდნენ... სახლში მისვლას არ ჩქარობდა, მაგრამ არც ის იცოდა, კიდევ სად შეიძლებოდა გავლა. ამიტომ უბრალოდ წრეებს მიჰყავდა და ქალაქის ერთი ბოლოდან მეორეში სამჯერ აიარ-ჩაიარა. შუადღე ისე მიეპარა, ვერც გაიგო — სიცხემ რომ მაგრად შეანუხა, მხოლოდ მაშინ დახედა საათს. სახლში მიბრუნდა, წინსაფარი მოირგო და ბატი ცეცხლზე მოათარა. საღამომხანს დაღლა იგრძნო. მსუბუქი და შემპარავი. გადაწყვიტა, სტუმრების მოსვლამდე ნითელი ღვინო გაესინჯა. კარგი იყო, მოენონა, საუბარი მოუნდა. იმასთან გადარეკა. კარგა ხანს არ უპასუხეს. ბოლოს, როგორ იქნა, მოესმა:

— უკაცრავად, თქვენ ალბათ ბატონ ილიასთან რეკავთ. არ ინერვიულოთ, სერიოზული არაფერია, ახლა უკეთაა, გადასხმაზეა, ვერ გიპასუხებ... კი, კი, ქალბატონო, სერიოზული არაფერი, მოინამლა... დიახ, მე ექთანის ვარ და მთხოვა, მეპასუხა... რა გადავცე? კეთილი, ზუსტად ეგრე ვეტყვი...

ილია ერქვა, ეს გაარკვია. ახლა ილიასაც ეტყოდნენ, რომ ქალმა დაურეკა და ისიც დაიმედებოდა, რომ რადგან უცნობმა ექთანთან ამოიღო ხმა, შემდეგ დარეკვაზე მასაც უპასუხებდა. სანამ ხელახლა გადაურეკავდა, ილია იმას გაარკვევდა, თუ რა ასაკის ქალთან ჰქონდა საქმე, ექთანს კი ეტყოდა, სასიამოვნო ხმა ჰქონდაო... ამ ფიქრში იყო, ბატი რომ ღუმელიდან გამოდგა. კარზე ზარის ხმა გაისმა, მეუღლე და სტუმრები მოვიდნენ. სუფრა გაანყო, მთავარი კერძიც გაიტანა. ეცადა, ცოტა ხანს მაინც დამჯდარიყო სტუმრებთან ერთად, მაგრამ არ გამოუვიდა — მოწყენილობის მთქნარება რომ დაეწყო, ბოლოში მოიხდა და წამოდგა.

— გამრავლება გადატანაა, სისტემაა. სისტემა რომ დაუსრულებელი გახადო, ის, რაც სინამდვილეში არსებობს თუ არ არსებობს, რომ ვერ გაგიგოვებია... გამრავლება კარგი რომ ყოფილიყო და საჭირო, მხოლოდ ორზე არ შეჩერდებოდა „დედმის ბალი“... და ისიც, ორზე იმიტომ კი არ შეჩერდა, ვიღაცამ რომ მოიწყინა და გამართობი მოუგონეს... მდებდის და მამრის არსებობა იყო ჩაფიქრებული, და არა გამრავლება, მარტობის გადაგორება, ცხოვრების გადავადება! — თქვა მეოთხე ჭიქის შემდეგ სავარძელში მოკალათებულმა და ნაცნობი ნომრის აკრეფა მოუნდა.

— რა თქვი, ა? ვერ გავიგეთ, — სუფრასთან მსხდომი მამაკაცები გამოერკვნენ და მისკენ მიტრიალდნენ.

— რამე თქვი, ადა? ჩვენ გვითხარო? — გაოცებული სახეებით შეჰყურებდნენ. მეუღლე უკმაყოფილებას ვერ მალავდა — პეტრე ხელებში მომწყვედულ ხელსახოცს პატარ-პატარა ნაკუნებად ანანევებდა.

— არაფერი, არაფერი, მარტო ჩემთვის, მარტო ჩემთვის... კერძი გაცვივებოდა, მოვალ, შევაცხებებ! — სიბნელეს მოწყვიტა მზერა, ტურნებზე მიმხმარ ნითელ ღვინოზე ენა გადაისვა და წამოდგა.

— საკუთარ თავთან საუბარი სახიფათოა! — ფრაზა წამოისროლე სუფრიდან. — პირიქით, პირიქით, იმის ნიშანია, რომ არსებობს! — უპასუხა ადამ, ხმამაღლა გაიცინა და კიდევ ერთი ჭიქა ნითელი ღვინო ჩამოისხა...

იმ საღამოს ქმარმა სამსახურის სამი თანამშრომელი სახლში მოიპატიჟა. ისხდნენ და ჩუმად საუბრობდნენ საქმეზე. პეკინური ბატი ჰქონდათ, ყოველთვის გემ-



რიელად გამოსდიოდა... ადას უნებელი ხმაურმა თითქოს დააფრთხო და გამოაფხიზლა სტუმრები... უკვე ორი დაწყებულია, გვიანიაო, თქვა რომელიღაცამ და ნამოიშალნენ. პეტრემ სტუმრები მანქანამდე მიაცილა. სახლში რომ შემობრუნდა, ადამ რაღაცის თქმა სცადა, მაგრამ მისი მოსმენა არ უნდოდა, ნაჩქარევად გაიხურა მისაღების კარი. უფრო სწორედ, ნაჩქარევად კი არ გაიხურა, ზედ ცხვირწინ მიუჯახუნა...

ადამ სუფრა ააღაგა, ჭურჭელი დარეცხა, უხმოდ ავიდა საძინებელ ოთახში, გაუხდელად დანვა გულდაღმა.

— ნასვამზე ძილს ღრმად მიყავხარ... — თქვა, როცა შუქი ჩააქრო.

ოთახში მარტო იყო. იცოდა, იმ ღამეს პეტრე არ მივიდოდა, ქვევით, ტელევიზორის ყურებისას მიიძინებდა. ტელევიზორის ყურება ყველაზე კარგი საშუალებაა ყურადღების გადატანისა და დროის გაყვანისთვის. ბავშვობაში დედამისს სულ ჩართული ჰქონდა ტელევიზორი, მაშინაც კი, როცა უადგილო იყო — არ ესმოდა, არ უყურებდა. ადამ იცოდა, რომ დედამისი ტელევიზორით ივსებდა მარტოობას და სანამ ვიღაცის გაბმული საუბარი ესმოდა, პანიკის შეტევებიც არ დაემართებოდა...

— როცა ერთად ყოფნის იდილია, ერთობა ირღვევა, ერთობი. ვასართობს ეძებ. ეგრევე თუ ვერ ახერხებ გართობას, ცდილობ მაინც... როცა გართობას მაინც ვერ ახერხებ, იწყებ და ეფლობი. როცა ეფლობი და მარტო რჩები, ფიქრს სწავლობ, აი, ფიქრს რომ სწავლობ, მერე ყველაფერი მთავრდება, ხვდები, ყოველთვის მარტო იყავი, მარტო იმიტომ იყავი, რომ არ ფიქრობდი... — დასძინებლად ათასამდე დათვლა და აბების მიღება არ დასჭირვებია, მალევე გადაეძვრა.

განათდა. თითქოს შუქმა დააფრთხო... სიმშრალე და ტეხვა იგრძნო სხეულში. ფრთხილად გადმოტრიალდა და ფეხი ლოგინის სიღრმისკენ შეაცოცა, თითქოს იმ ცარიელ ნახევარს უფრთხოდდა, ეგებ იმ ცარიელ ნახევარში ვიღაც ინვა... ეგებ მარტო არ იყო...

დილის ექვსიდან იწყებდნენ კაკუნს ხელოსნები, სანამ ძალიან ჩამოცხებოდა, სამუშაო უკან უნდა მოეტოვებინათ. შუადღეს, სადილის შემდეგ ცოტას ნაუძინებდნენ კიდევ, სამი საათიდან კი ივლისის მზე ისე აჭერდა, რომ ადგილზე დაგადულდებდა.

— აბა, მე ჩემი ქალისთვის ეგეთი ქათმები კი არ მიმაქვს, სულ ნაღდეები, მუხრანისა, — თქვა ხარამოზე თოკით სახელდახელოდ მიბმულმა მუშამ და მიბათქაშებული ცემენტის გასწორება გააგრძელა.

— ჩემი ცოლი კიდევ სულ ბაზარშია, ვაჭრობს, ისეთი დაღლილი მოდის, რამე კალბასს თუ დაჭრის და სასისკს მოხარშავს. ხან კიდევ ნიკორას ქათმები მოაქვს შემწვარი, გემრიელია, ცხიმოვანი, ათ ლარადა! — გადმოსძახა ფანჯრის იქით ჩაცუცქულმა მეკაფელე ვანომ. ერთი წყობა ფილა გაეკრა, გაეპრილებინა და დასვენების დრო ჰქონდა, მონევისა.

— ერთი შენებური მუსიკები ჩააფინე, რომ იცი, პურის ჭამის დრო მოსულა! — ჩასძახა ზემოდან ქვემოთ ბიჭს მლესავმა.

პირველი საათი დაწყებულიყო, მზე ისე აჭერდა, უნესრიგოდ მიმოხეული ქვიშა და ცემენტიც აღარ იშლებოდა ჰაერში, ზედ მიწაზე და უადგილოდ დადებულყოფიყო. ამირანა კი სულ გაყვიროდა, ცემენტი ერთადგილას მოხილეთო, მაგრამ ბიჭები მაინც თავისას მიერეკებოდნენ, ხან სად ზელდნენ, ხან — სად.

— ქვიშაა, ქვიშა ჩავმარხე, აბა, ეხლა წყალი დაუმატე! — შეუძახებდა ლამა.

— მამ რამდენი, ერთი გადაცურვა, თუ ორი? — კითხავდა ძმა.

— სამი, სამი, დიდი ცურვაა, ჩქარი! — გადმოდახებდა ლამა და ბიჭის სირბილით მოჰქონდა წყლით სავსე სათლი. ნაწილი გზაში იღვრებოდა, ნაწილიც — მიმოპნეულ ცემენტზე.

სადილობის დრო იყო. ბიჭის პური უკვე მოეტანა თონიდან, ისეთი ცხელი იყო, თითები დაენვა ლამის. ერთი სული ქონდა, მიეღნა — გზად ისე გამწარდა, იფიქრა, აქვე მიუყრი ძალღებს ამ დამდულურულ პურსო. გაზეითანად მოიძორა. მაგდილისმკვარ რამეზე მოისროლა შორიდან

და კიტრი-პომიდვრის ნამყოფ წყლიან ტაშტში გაივრია ხელეები. სუფრაზე იდო სალათი, პური, ყველი, მარლი, მოხარშული მაკარონი შემწვარი ხახვით, გაუხსნილი კონსერვის ქილა და რამდენიმე მოხარშული და სუფთად გაფცქვნილი კვერცხი.

— აუნე, რაღა! — უკმაყოფილო ჩანდა ვანო. თონის პური გახვეულ და ჩამდნარ ყველს ისე ხარბად ჭამდა, გეგონებოდა, ასეთი გემრიელი არც არაფერი ღირსებიაო.

— მდიდრებსა სძინამთ, ჯერ არ ამდგარან. ავე, ჩემი ძმა იყურება და ისევ ლოგინიაო, — ხმადაბლა უთხრა მისკენ მომავალ მამას ლამამ.

— აბა, ეგენი ცხოვრობენ, აბა, ჩვენა ვარსებობთ... ჩართე ერთი ჩვენებური, თუ ბიჭი ხარ!

— ჰო, ძინავს, კაცი წასულა და ქალს ისევ... — დაემონმა კიბეზე აცოცებული ბიჭი.

— დიდი მუქთახორა ვინმე კი ყავს მაგ კაცს. მწერალია თუ ვინცაა, მთელი დღე აუზთან კოტრიალობს, საღამოს ღვინოს სვამს და ჩხუბობს, — აყვა მლესავი. ხელი უკვე დაებანა და ახლა მზისგან დამწვარ და დახვიტულ კისერს იგრძობდა წყალზე.

— რა აჩხუბებს?! სახლი მაგას აქვს, კარი, მანქანა და მოსამსახურეები. ლამაზი კია, მაგრამ მაგდენი რომ ჩვენმა ცოლებმა დაისვენონ, ეგენიც გალამაზდებიან, — იხუმრა ვანომ.

— მოვრჩეთ აბა მასლაათს, დაასხი ერთი, ყელი ჩაშრა, — სუფრას პრარაბი ამირანაც შემოუერთდა. ბიჭიმ ლამას გახედა, კასეტაზე მანიშნე, ესა თუ ისაო. ლამამ მორე და მუსიკამაც დაცხო — „ახ, ჭიჭიკო, ყელი ჩაშრა ნუ შემადღონე, ბარემ ერთი ინდაურიც ნამოაყოლე...“

„მუსიკის ჰანგები“ ადას მალეძარასავით ჩაესმოდა ყურში. ლოგინიდან ადგომის ძალი არ ჰქონდა. დილის მზისგან გათანგულს არაფერი უნდოდა ისე, როგორც ნამოდგომა და აუზში დედისობილა ჩახტომა. ერთი წლის წინ შექმლო, ასე გაეკეთებინა, იმ ფერდზე მარტო მაგათი სახლი იდგა. ახლა კი ზაფხული აუტანელი გამხდარიყო, ძალიან ცხელია, ფანჯრებს კი მაინც ვერ გამოაღებდი, მოდიოდა ყველა მხრიდან მტვერი და ხმაური ერთდროულად.

პეტრე სად იყო, არ იცოდა. ვერ დაუძახებდა და ვერ თხოვდა, ერთი ბოთლი ბორჯომი მომიტანეო.

— ერთად ნოლაში დიდი აზრია ჩადებული, — თქვა ადამ და ნამოდგომა სცადა.

ოფლისაგან დაცვარული სამოსი გაიხადა და შორს მოისროლა, შუბლზე მოწოლილი სიცხის კვალი კი ზეწრით გაიქრო. აუდგომლად, ხელის ცეცებით მოიძია ხალათი, რომელიც რატომღაც ლოგინის ქვეშ ვერ იპოვნა და ამიტომ რაღაც გაუგებარ მანისურს მიაგნო ლეიბსა და ზეწარს შორის. გადაიცივა, აივნის კარამდე თვალდახუჭული მივიდა, შუქი თვალს ჭრიდა და კოორდინაციას უკარგავდა. ერთი მოძრაობით ხმაურიანად გაიხურა კარი, ისე, რომ ფარდის ნაწილი მოაყოლა... სიმღერის ხმა ისევ, მაგრამ მოგუდულად ისმოდა.

ნეტავ, რომელი საათია... პეტრე ისე ნავიდა, რომ ვერ გავიგე, თუ ჯერ ისევ ადრეა და აქააო, — გაიფიქრა ადამ და ძლიერი ტკივილი იგრძნო გულთან ახლოს. ტკივილმა უკან, ლოგინში დააბრუნა. ერთ პოზაში გააშემა. ცოტა რომ გადაუარა, მხოლოდ მაშინ გაბედა ადგომა.

„ტკივილი, ტეხვა, ცუდად ყოფნა, უბედურება, ყველაფერი იმიტომაა, რომ დავიჯვროთ არსებობა და ვინატროთ არარსებობა. მჯერა და ვნებდები. ვნებდები ტკივილი ცხოვრების დაუწერელ კანონებს. სანამ მტკივა, ვარსებობ, სანამ ვარსებობ, მტკივა.“

— ბელა! — რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხმამაღლა გასძახა დამხმარე ქალს, მაგრამ რადგან შაბათი იყო, ბელა ისვენებდა და იმ დღეს ვერავინ უშველიდა, თავად უნდა მოედულეებინა ყავა და სხვა რამეებიც ეთავა.

სულ კამათობდნენ, ყველაფერზე. წინა დამითაც ეგრე იყო, სტუმრები რომ დაიშალნენ. ადა ალაგებდა, პეტრე ყვიროდა... ეჩვენებოდა, რომ პეტრეს ფეხის ნაბიჯებზე სხვაც აღიზიანებდა, ჰო, ის უსწორმას-

წორი და დაყოვნებული ნაბიჯები... პეტრეს მოშველებული ონკანი, შუალედურად რომ არ ეხერხებოდა, ბოლომდე მიუშვებდა და მოათხრიზინებდა. აივნის კარს რომ გამოაღებდა და აღარ დაკეტავდა. ვეღარ იტანდა, მაგრამ ესეც არაფერი, ყველაზე საშინელია ის იყო, რომ პეტრეს არყოფნასაც ვერ იტანდა. რატომო, რანაირადო, რომ დაფიქრდებოდა მისდაუნებურად, მაინც ყველაფერს ასაკს აბრალებდა, იმას აღარ უნდა და იმას მობეზრდებოდა...

„უთანხმოების საბაზი არ არის პოლიფონია. მე და იმის ხმა სხვადასხვაა, ასე იყო ყოველთვის, მაგრამ ამით ჰარმონია არასოდეს დარღვეულა, ახლა კი ერთ ხმაზეც რომ ვიყოთ, არაფერს შევლის. დასასრული იწყება. კაცს შეუძლია მანამ დაასრულოს, სანამ ყველაფერი გაივლის. ჩაქრება. მაშინვე, როგორც კი ოდნავ დაღმავლას იგრძნობს, გაბრუნდება, კარს გაიხურავს და წავა... ქალი სხვაა, ბოლომდე ამონურავს, მოითმენს... ამიტომაა, როცა კაცი კარს გაიხურავს და წავა... ზოგჯერ უკანაც ბრუნდება, ბრუნდება მანამ, სანამ მორე სახლს არ იპოვნის... ქალი კი თუ კარს გაიხურავს...“

იმ სახლში ყველაფერი მაინც ბელას ჭკუაზე იყო მოწყობილი — ნივთებს ისე გადააღებდა, რომ ადა ვერასდროს პოულობდა. რამდენჯერაც უნდა ეთხოვა, ხელს ნუ ახლებ, ადგილებს ნუ შეუცვლიო, აზრი არ ჰქონდა — თითქოს ბელა თავისი ავტონომიური ნესრიგით ებრძოდა. ყავას ათი წუთის შემდეგ მიაგნო, თუმცა მაშინვე აღიარა, რომ წინ ედო და ვერ ხედავდა. ცხელმა სასმელმა მოაკეთა, ახლა სიგარეტს დაუნყო ძებნა — გუშინ სულ მოენია მთელი მარაგი... მაგრამ არა, ძველ ჩანთაში ქონდა ჩარჩენილი რამდენიმე ლერი და სწორედ ახლა, გაჭირვების ჟამს გაახსენდა. სიგარეტიც რომ მოწინა და თითქოს ხელოსნების კასეტაც გაჩერდა, ჩაიხვია თუ რაღაც ეგეთი... იმაზე დაინყო ფიქრი, რატომ იჩხუბეს ვერ გაიხსენა...

„...რა თქმა უნდა, როცა ხშირად გავიწყდება ჩხუბის მიზეზი, ეგ იმისი ნიშანია, რომ ჩხუბი საბაზად გჭირდება“, — დაასკვნა, სიგარეტი ჩააქრო და აუზში ჩახტომა მოუწია.

— ნაბახუსევე აუზი სარისკოა! — გაახსენდა პეტრეს სიტყვები. მიწისქვეშა იქ იყო — როცა აუზში ჩავიდოდა, იმ დროს ამოძვრებოდა ის ლანირაკი თავისი კედლიდან, კიბეზე შემოჯდებოდა ისეთი ხერხით, თითქოს საქმეს აკეთებდა, სინამდვილეში ადას დაუნყებდა თვალთვალს, ჭყიჭინს... თუ რამე მოუვიდოდა, ის თავს გასული მოზარდი დაიყვირებდა, ამიტომაც შეეძლო წყალში შესვლა. შესვლა და მოდუნება.

სიცვიე ეამა, თავით დაეშვა ფსკერამდე და რამდენიმე წამს იქ გაჩერდა გაუნძრევლად, მერე მოეჩვენა, რომ უკან ველარ ამოყვირებდა და სანამ პანიკა შეიპყრობდა, ჩხლიდან ამოაღწია. კროლი მოსწონდა, ბრასი უკეთ გამოსდიოდა. ძალები დაბრუნება იგრძნო, სიმხნევე. დილის ხალისს იბრუნებდა.

„ერთი გასვლა ოცი მეტრი, ორმოცდაათი — კილომეტრი“, — გონებაში გადაიანგარიშა და ათვლა დაიწყო. ხშირად ისე შეყვებოდა ფიქრს, რომ მერამდენე წრეზე იყო, ავიწყდებოდა. ამიტომ ზუსტად არასდროს იცოდა, რამდენი გაცურა... ერთხელ სთხოვა პეტრეს, ის ნივთი მიყიდე, რომ ანკაპუნებო ყველა გასვლა-გამოსვლაზე და ითვისო...“

„კაცები, კაცები, ჰო, ასეთები არიან, აი, ყველა რომ იცი, როგორია, როგორი ერთნაირი და თავიდან შენი კაცი მაინც სხვანაირი გგონია... მერე კი არ გგონია, დარწმუნებული ხარ, რომ სხვანაირია, სხვებს აღარებ, მშვიდდები, ფიქრობ, ამით ყველას ჩემი ჯობსო, ჩემი მირჩევნიაო... და უცებ ყველაფერი თავის ადგილას დგება, იღვიძებ...“

შეიძლება არ დადის სხვასთან და მართლა მასაზე იყო... შეიძლება დამოკიდებულია, კვირაში სამჯერ... ერთოთხედია, ტალიანდლები ან ჩინელები. ტალიანდელი თუ ჩინელი თუ ეთიოპელი, ჩემთან აღარ მოწონს, აღარ მეკარება, ეგაა მთავარი... რომ მეხება, არაფერს ვგრძნობ, სულ არაფერს... ჰო, ასეა, არაფერს, ალბათ თვითონაც არაფერს გრძნობს, თავს იკატუნებს, არ იმჩნევს. ვიცი, ვიცი. მალე ცალ-ცალკე ლოგინებში დავიძინებთ ოფი-

ციალურად, სხვადასხვა ოთახში... ყველაფერი იმის ბრალია, რომ... ჰო, ამის ბრალია. ჩემი, ჩემი... მეშვიდეა ან მეცხრე ან მეთერთმეტე წრე, რომელია ნეტავ? მოდი, მეშვიდე იყოს, ახლა მერვეზე წავალ... რა საშინელი მუსიკაა, მეტი არ შემიძლია, მეტი არ შემიძლია, დავილაღე... არა, ამ უგემოვნო მუსიკამ დამაღლა...“

ამოყვინთა. ისე დაქანცულიყო, როგორც მეორმოცე წრეზე. ეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ტრიალებდა და მიწაც ტივტივებდა. ტანი ზანტად აზიდა წყლიდან და თვალი მოკრა... ჰო, თვალი მოკრა ისევ იმას, კიბეზე შემოსკუპულს. მაგრამ რაღაც ისე ვერ იყო. ჰო, მართალი იყო პეტრე, როცა თქვა, რომ ნაბახუსევე ბანაობა სარისკოა... ერთის ნაცვლად ორი ერთნაირი თავი მოეჩვენა — ზუსტად ერთნაირი. ერთნაირად ღიმილიანი და თავხედური გამოხედვით.

თითქმის ამოსულიყო აუზიდან, აუზის კიდზე იჯდა და ნამოსადგომად ეზზადებოდა. უნდოდა, სწრაფად გაეკლო მანძილი სახლამდე... ფეხები არ დაემორჩილა, დაბნელებდა... ამის მეტი არაფერი ახსოვს... სანამ იმ კვეთამდე მივიდოდა, „არაფერი“ რომ იწყება, გაიფიქრა, პეტრეს უნდა დაუყვიროო...

— ფეხები დაუჭიძე და კუთხიდან დიაგონალზე ამოუშვი... არა, ოდნავ მოკვეცი, მაგრამ მოკვეცი-მეთქი, ფეხებში... თავი მარცხნივ დაუკავე, მერე უფრო ამოზიდავი! — გასძახოდა პრარაბი ამირანა მუშებს. იმათაც, ჯერ ფეხებით ზიდეს. მერე, რომ არ გამოვიდა, ხელებითაც. ბოლოს ყველა ერთად ჩახტა აუზში და ზურგზე დაწვენილი ამოათრია.

— რა მატყუარა ტანზე მდგარა, რამ სიმძიმე ყოფილა, სამი კაცი გავგათავა, — წუნუნებდა მლესავი და სახეზე მოზღვავებულ ოფლს სველი მაისურის ბოლოთი იწმენდა.

— სუნთქავს, სუნთქავს, ფაზიზალი ვარა, ატყვიჩა! — გახარებული ყვიროდა ვანო.

— ესა, კაცო, მძიმე კი არა, გრძელია, გრძელი ქალია, დახედე, ნეკნებს დაუთვლი, — არ ჩერდებოდა ამირანა, — ბიჭი, რით ვერ დარეკე შენ კიდევ ამ სასწრაფოში, ა?

— დაკავებაა, ველოდები, ხაზზე ვარ, მეცხრე ხარო!

— ლამა, სკამი მოიტა, ფეხები ავაწეინოთ ხის ძირში, ამასა გრილში უნდა.

— გვერდზეც გადავატრიალოთ, ნაყლაპი არა ჰქონდეს... — დაამატა მლესავმა.

— ისა, კაცო, ხელოვნური სუნთქვა არ უნდა?! — გახუმრება სცადა ვანომ, მაგრამ ამირანის მზერას გადააწყდა და დადუმდა.

მლესავმა ხელებში დაიჭირა, ვანომ ფეხებში, იმ ხესთან მიანწინეს, კიბე რომ ედგათ ბიჭებს. ცოტა ხანს სახეში ულანუნეს, მერე ყურები დაუზილეს. როგორც იქნა, ღრმად ამოისუნთქა და თვალები გაახილა. ყველა ერთბაშად დაინახა, მაგრამ ის ორი ერთნაირი ისევ ერთნაირად უყურებდა და უღიმოდა. ნამოდგომა სცადა, არ გამოევიდა, თავზე სველი პირსახოცი და პირსახოცივე ამირანას ხელი ეკლა.

— თქვენს ქმარს დავურეკეთ, ქალბატონო, პრარაბსა ჰქონია ნომერი. სასწრაფოში დაკავება იყო და თქვენმა ქმარმა, სამ წუთში მანდ გაეჩნდებოო...

— ქმარს...

— მალე, მალე მოვალ, აქვე ვარო, მეზობლალო, — ამირანამ ახარა.

— მეზობლადა...

— გულზე შემოგეყარათ, ტყუპებმა დაგინახეს, ამით გადაგარჩინეს, თორემ ზედ ბასიენზე ეგდეთ, თავქვე ტივტივებით, — ამყავდა უპასუხა ვანომ.

— ტყუპები, ტყუპები... — წაილულულა და საშინელი ტკივილი იგრძნო თავში.

ალბათ მართლა დაეცა, ალბათ თავი კიდეს ჩამოარტყა ან რამე მყარ საგანს. ნეტავ, სისხლი თუ მდისო, გაიფიქრა.

— დიდი კოპია, იმოდენა კოპი, მთასავითაა! — გაამხნევა მლესავმა.

„მტკივა, ესე იგი, ვარსებობ. ესმით, ესე იგი, ვარსებობ... მიყურებენ... სიცხვა და ოფლი სდით, ყველა ჭუჭყიანია და სველი... აუზში ჩამოხტნენ, ხელით მათრიეს, შემეხნენ. ჰო, შემეხნენ...“



ვანო ჩხიკვაძე

მე თქვენზე და
თქვენთვის ვლოცულობ.

ვიცი ეს ცოდვა ჯოჯოხეთის გზას გამიყენებს,
შემოწმება სინანული ამ გულს აღმურად,
როცა ვარდისფერს
შემოდგომის ჭკნობა დაბურავს,
როცა დაბზარავს
მაგ სხეულის ტაძარს სიბერე.

როცა სინორჩე დაგივინყებთ, გეტყვით, აქა ვარ,
რომ მოგიქარგოთ თვალთა უპე ცრემლის აშიამ...
ილოცეთ, ვიდრე ეგ ღიმილი წმინდა ბავშვია,
და გარეთ ფოთლის ქარავანი
მისდევს ქარავანს.

ტაძრის კუთხეში გარინდულო და მარტოსულო,
კელაპტრის აღმა თქვენს თითებში სული დალია,
როცა ნაკურთხი სანთლებიც კი შემოგხარინა,
თქვენ უფალზე და
მე თქვენზე და
თქვენთვის ვლოცულობ.

უფლისციხე

ცაზე უხმო ზარივით
დაკიდული ქორია,
შემოანვა ქვის ქალაქს
ნისლის მელანქოლია.

სადაც უფლისციხეა,
იქვე ძველი რომია,
იქვე ბაბილონი და
ხელჩართული ომია.

რა დროება გასულა
იმ მშვენიერ წამიდან,
ცვრიან ვარდს რომ ყნოსავდა
ბაღში სემირამიდა.

ბევრი ჩამოქვეითდა
ისტორიის ცხენიდან,
მცხეთას ისევ არგუნეს
წილი უფლის ძღვენი და,
ქრისტეს აქეთ — შენეწით
მაცხოვარის ნათელის,
უკვე ოცდამეერთე
ტომს კითხულობს ქართველი.

ჩვენი ნიჭის ზეიმი
იხილე და გაოცდი,
უკვდავების ძეგლად დგას
სიბრძნე „ვეფხისტყაოსნის“.

ვენახივით გკაფავენ,
მაინც დივილი-დალაღე,
მტერი არ გაახარო —
ჭრილობები დამაღე.

თავითი დაბრძანებული,
ზეციური ამალით
გიზის მარიამი და
ცრემლიანი თამარი.

ჯვარზე შემოფრენილა —
კვლავ შემკვრელი კამარის,
ღმერთო, მაინც თენდება,
ყივის ჩვენი მამალი!

მზის ჩასვლა

თეთრქულა ღრუბელს აიფარებს,
სხივებით ნაქსოვს,
გადივლის ცას და
დათოვლილი ქედების თავანს.
იმ ღრუბელს ზემოთ
ერთხელ უკვე, ვიყავი,
მასსოვს,
იმ ღრუბელს ზემოთ,
სამუდამოდ,
დრო მოვა, ავალ!

განრიგარეული მატარებლები,
სამშობიარო ტკივილებით აკივლებული სადგურები,
სემაფორები — შუქჩამქრალი, ბრმა ციკლოპები —
საითაც ნახვალ, ყველგან ჩიხია,
ბოლოს მაინც იქ დაბრუნდები,
საიდანაც გამოიქეცი...

მაინც გარბიხარ —
გგონია, რომ შორდები გვირაბს,
სინამდვილეში შენ ხარ მიმი,
რომლის ფეხქვეშაც
დედამინის ბურთი ბზრიალებს

*
მთელი ცხოვრების უძინარი ვარ,
არ მომიხუჭავს თვალი ერთხელაც,
ალარ გამოჩნდა,
ვინც აუხდენელ
ცხადი სიზმრების კალთას ემთხვევა.

მთელი ცხოვრება
დახურულ კართან
წვიმა კენესის და ქარი წუნუნებს,
რაც დამიტოვა იმ საუკუნემ,
იმას წაიღებს ეს საუკუნე.

ამომავალ მზის სხივებს აღერსით
სარკმელზე ხელი არ გადაუსვამთ,
მამლის ყივილის შორისდებულით
არ ჩატეხილა ღამის პაუზა.

არ მახსოვს-მეთქი,
არც გაზაფხული,
კვლებშორის მიჯნის მწვანე ქეჩები,
როგორ ღვივიან ქართლის ველები
ყაყაჩოების ანაკვერჩხლებით.

არ დაუფუფქავს ბეჭი აგვისტოს
ციდან გადმოღვრილ ცეცხლს და მდულარეს,
გული არავის გადაუშლია —
მარტომ ვიმღერე და ვიმწუხარე.

მაშინ, როდესაც უნდა მეფხიზლა,
მზე ამწიფებდა როცა თავთავებს,
ჩამეძინა და
ზეცის წყალობა
წყალს მივეცი და
ქარს გავატანე.

ერთხელ ხომ მაინც უნდა მენახა
აჭრელებული მთების ბარხატი,
ან მომესმინა,
სახურავებზე,
ნოემბრის წვიმა როგორ გადარბის.

დაფრენილიყო
ხელისგულზეზე,
პირველი ფიფქი — ზამთრის მერცხალი,
სითბო რატომ არ გამინანღე,
შენს მონატრებას რომ შევეძარი.

თავი ვერაფრით ვერ დავაღწიე,
ემმას თვალები ისევ უცინის,
მოვდივარ შენსკენ,
მივდივარ შენგან
და უიღბლობა მადგას კუზივით.

*
მოხვალ, მოირწევი, ნორჩი ლერწამივით,
ჩემთან მოგაცილეს თოვლის ხეივანებმა.
დიდი გოგო ხარ და,
დიდი გოგო ხარ და,
შენთვის გუნდის სროლა
უკვე შეიძლება.

სულ არ გენალვლება,
უძილობით შეშლილ
დღემდე ღამეებს რომ
ფხიზლად ვათენებდი.
თავზე დაგბზუიან ნექტარს ფუტკრებივით
ციდან მოფრენილი
თეთრი ფანტელები.

შენი თვალებია წყვილად მოღალანე,
ბუჩქთან განაბული
როგორც აი ია.
ბავშვობის ორლოზე,
ვინრო ბილიკები,

ყრმობის ასკინკილით
უკვე ჩავლილია.

შენსკენ იჩქარიან, ზეცა გახსნილია,
ოქროს დღეობები,
ცქვიტი ფაშატივით.
შენი სიყვარულის
აღვირს ელოდები,
თეთრი სარეცელი
გიცდის გადაშლილი.

აუ, რა თოვლია, მოგდევს დარახტული
ნალის ნაპერწკლებით
ცხენთა ამქარი და,
თან რომ წაგიყვანონ,
რალა მეშველება,
აბა უშენობას როგორ გადავიტან.

მშვიდი მდინარება, ვიცი, სიყვარულის
ზღვიდან მოვარდნილი
შტორმით შეიცვლება.
დაგიხვდებიან და
ვილა გაგატარებს —
შენთვის გუნდის სროლა
უკვე შეიძლება.

თოვლში მიქანაობს მკლავებს აყოლილი
ტყავის ფუტლიარი,
რათა ვიოლინოს
ხემზე დაფრენილმა
მელოდიის ჩიტმა,
ყელთან განაბულმა
შენთან ირონიოს.

მინა გაბრწყინდება, თავბრუდახვეული,
გაზაფხულის ბანგით
ვიდრე შეიძრება.
თოვლი, თოვლი მღერის —
დიდი გოგო ხარ და,
შენთვის გუნდის სროლა
უკვე შეიძლება.

*
გარბის თოვლში კარტა,
ანყვეტილი გარბის.
უნყინარი სიბერე
ნემსითა და ძაფით.

გაბზარული სათვალით,
უძილობის აბით,
ნლებმა თან გაიყოლეს
შარიშური კაბის.

წამით შემოფეთებულ
გზაბნეულ ირემს —
სიზმრებში გაუღიმებ
ჩავლილ სიყმანვილეს.

როგორც გუშინ, გუშინწინ,
სევდიანი, დღესაც,
სიხარულის ძველმანებს
მუხლმორთხმული კემსავ.

გაქრა ნაზი სურნელი
დაფურცლული ვარდის,
გარბის თეთრი კარტა,
ნეტავ საით გარბის?

უცნობი ქალი

პირველი თოვლის სინაზით და თრთოლვით მოსულს,
თვალცრემლიანი ნეტავი რას შესთხოვთ მარიამს.
როცა ნაკურთხი სანთლებიც კი შემოგხარინა,
თქვენ უფალზე და



და დატუშული თვალებიდან ჩამონადენი შავი ზოლებით ინწყება შენი სახის ეროზია...

იყო ერთი კაცი, ვინც ამ ქაოსს აწესრიგებდა, იყო, მაგრამ... ახლაც ვითომ აწესრიგებენ, სხვა ფორმით, მაგრამ ერთი შინაარსით — სისხლით, ცხედრებით, ნგრევითა და მიგრაციით...

შენ კი, ყოჩალო ეკვილიბრისტო, როდემდე უნდა მომატყო მოძრაობის იმიტაციით, შეჩერდი მაინც, დაილაღა დედამინა ფუჭი ტრიალით...

უფალო, უფალო, რატომ მიეცი ადამიანს ასეთი რთული დავალება — გიყვარდეს მოყვასი შენით, განა არ იცოდი, რომ ვერ შეგისრულებდა? აჰა, ნამოკრიფე, როგორც დამრიგებელმა, საკონტროლო ფურცლები და პერგამენტები, დადღაბნილები ცრემლითა და სიძულვილის ლაქებით...

ეჰ, საწყალო ადამიანო, თუმცა იცი, რომ გაჭიმავ ყირას, მაინც იძახი: — მწყალობელ იმედს — დიდება ტირანს! დიდება ტირანს!

რეკლიკა დარბაზიდან

— ნიგნები გაქ, პრემია გაქ, ნოდება გაქ, ორდენი გაქ, აქ!.. იქ?!

სხარტულა

პატარებს

გიყვარს ზღმარტული, ზღმარტულა? ესეც ჩემი სხარტულა: იმ დაუნმა, ინდაურმა, რა ინდომა? — რაინდობა!

ყიპ-ყიპ-ყიპ-ყიპ ყიპყიპო, აღარ გეინდა ყიყლიყო —

დიდ-პატარა შეყარა, მე ვალვიძებ ქვეყანას!

ჭირმა თავი, მითხარი, როგორ უნდა დამალოს, თავი გამოგეყოფა, ვარიებში მამალო?

გიყვარს ზღმარტული, ზღმარტულა? მორჩა ჩემი სხარტულა.

*

შენსკენ ამინდია. აქ თოვს. მახსოვს, პირიქითაც, მახსოვს.

ქარით აღრენილი ღამე. ვილაც იმეორებს გამებს. ვალეტით გაჭრილი დამა, ცრემლით თავსასთუმალს ნამავს...

შენსკენ ამინდია. აქ თოვს. ის რაც ჩავლილია — ვნატრობ.

ცრემლი ბრჭყვიალებდა გაშლილ, შავი მორევივით თმაში.

მორჩა. აირია კარტი, წლები თავდაღმართში გარბის.

ვფურცლავ ჩვენს სევდიან რომანს — ასე დარდიანი რომ ვარ, — უკვე გაუცივდა მჯჯა, ფერმკრთალ, პატრიცია ჰოლმანს...

გარეთ ქარბორბალა ბორგავს, კატა ათამაშებს გორგალს. ჰყვება წინდისჩხირი ამბავს, ხელში ჩაგადნება ბამბა.

თვალი წაუვიდა საქსოვს მახსოვს. ყველაფერი მახსოვს.

შენსკენ ამინდია. აქ თოვს!..

ბარათი ჩემს ქალაქს

მოდგა ზამთარი. ლოლოების ნუგბარს არიგებს, ახალმა წელმა შეგვახსენა, როგორ გარბის დრო. ისე უჩუმრად ჩამიარა, ვერც კი გავიგე; არ დამიტოვა ავტოგრაფი ცხელმა აგვისტომ.

მე რომ მიყვარდა, იმ სიმღერებს აღარ მღერიან, აღარც ნაწნავის თოქს აყვავარ კოშკის ასულთან. ქარში ჭრიალებს მარტოსული კაცის კელია — ეშვება ფარდა — ეს სპექტაკლიც უკვე დასრულდა.

სიცარიელეს დარბაზისას შევრჩი პირისპირ, ფრთხილმა ხელებმა, საბოლოოდ, თქვენგან მალულად, როგორც კურდღლებმა, კლავიშების თეთრი ბილიკი, გადაირბინეს და სიჩუმემ დაისადგურა.

მორჩა, გათავდა, ჩაიყარა წყალში ამაგი, შემორჩა სცენას გულნატკენი მამის აჩრდილი. მე სიყვარულით რომ მეგონა, თურმე ქალაქი, რა ვიცოდი, რომ სიძულვილით იყო აჭრილი.

ზამთრით დაღლილ სულს დაკორტნიან ვიცი, ქორები, გზაგასაყართან თუ შლაგბაუმთან, გვიან მივხვდები, როცა წარსულს ვეამბორები, ახალ მტრებსა და ძველ მეგობრებს ერთად რა უნდათ.

რალა შემომრჩა, რით მოგკერძოთ და გაგახაროთ, გამეიფუნება ეს ზამთარიც ზამთარს მწველი მზით. მაგრამ მანამდე თავი უნდა კრძალვით დაეხარო — მადლობელი ვარ, ძვირფასებო, დავინწყებისთვის!..

*

აჰა, მთავრდება ჩვენი ზღაპარიც, ისევე წვიმს, აღარ გადაიკარა. რაც კი მეზადა, ქარს გავატანე, ტახტი კი მაინც მოსდევს ნიქარას.

ველარც სიმშვიდის ტახტი დაგიდგი, ვერც შევეხიდე მორღვეულ კიბეს, ბრმა ბედისწერამ არც მე დამინდო, მკლავს შინაური, იღბალი მიყევს.

ნაკლულ ცურვივით მთვარე ივსება, წვეთავს სისხლი და პრიალებს დანა, ვით კორიდას ხარს მკვლელი ისრები — ბეჭით ლალატის ხანჯლები დამაქვს.

განწყობილება

არც თოვლი არ მინდა, არც წვიმა, არც ქარი, არც მწვანე ზაფხული, არც თეთრი ზამთარი.

მომწყინდი, მომბეზრდი, იღბალო, ბებერო, როდემდე გისმინო, გითმინო, გეფერო.

აღარც შენ მინდისარ საღვინე ნაკრული, ძველი დოქის ყელით ნათქვამო „ჩაკრული“.

დაღამდა, გათენდა — ვერ გაიამინდა, ეს ლექსი და ბოლოს „არ მინდაც“ არ მინდა.

არც თოვლი, არც წვიმა, და აღარც ის ქარი... რა მინდა, უფალო, შენ მაინც მითხარი.

*

კედლიდან კედლამდე გალიის ჩიტი დაფრინავს, რა ხდება გალიის იქით, კენწეროს მალა და ღრუბლების მიღმა, რა იცის პატარა გალიის ჩიტმა.


არავინ ეძახის. არავის ელის. ერთი ფრთის დაქნევა გალიის ჭერი. ნიავს არ მიჰყვება ბუმბულის ღერი, თუ ტირის — თავისთვის, თავისთვის მღერის.

ვინ უნდა უყვარდეს, ანდა ვინ სძულდეს, როგორ გაარჩიოს სუფთა და ნუმპე, ან რა მოინატროს, არ იცის ჩიტმა, თავისთვის გალობს და თავისთვის უსტვენს.

ერთხელაც გალია დარჩებათ ღია, გაჰყვება ფანჯრიდან ფარდების ფრიალს.

ერთხელაც აიხდენს დაფარულ სურვილს, სხივებით მოქარგულ ზეცაში ავა, მაგრამ შეუჩვეველს ჰაერში ნავარდს უცებ გაუსკდება ნამცეცა გული.

მოსწყდება, როგორც ცას უმწეო ცვარი, დაკეცილ ფრთებით და თვალბეჭით ბინდით და თავისუფლების ჰაერით მთვრალი სულს დალევს ფოთოლზე გალიის ჩიტი.





რტო ედემის, მორი კითხილი

სამოთხე, რომელიც აღმოსავლეთით მდებარეობს და რომლის შუაგულშიც მამამთავარ სიფის მიერ დარგული საოცარი ხე იზრდება, აღწერილია შუა საუკუნეების ანონიმური ავტორის ხელნაწერში (მე-15 საუკუნე, ოქსფორდის ბიბლიოთეკა), თუმცა ფრაგმენტული ცნობები გვხვდება უფრო ადრეულ ჩანაწერებშიც, მაგალითად, ისიდორე სევილიელის „ეტიმოლოგიაში“ და განსაკუთრებით იოანე დე ხესეს „იტინერარებში.“ თვით სამოთხის დანვრისგან აღწერილობა მოცემულია „სერ ჯონ მანდვილის მოგზაურობაში“, რომლის პირველნაწილად უნდა დავასახელოთ თალმუდისტიკისა და ალექსანდრე მაკედონელის შესახებ მონათხრობიდან ამოკრეფილი ცნობები, გავრცელებული ევროპაში ებრაელი მთარგმნელების მიერ.

აი, ეს აღწერა: „მინიერი სამოთხე — ყველაზე მაღალი ადგილია დედამიწაზე, რომელიც მის სანყის ადგილას არის განლაგებული. ის მთვარემდე აღწევს, როცა ორბიტაზე მოძრაობს, ამიტომ ნოეს დროს მომხდარი წარღვნა მას ვერ შეეხო, თუმცა კი ქვეყნიერება წყლით იყო დაფარული. ის ყოველმხრივ შემოზღუდულია კედლით და არავის ძალუძს დაინახოს, რა არის შიგნით. კედელი დაფარულია ხავსით, ასე რომ, ქვებისა და ბათქაშის შემწვევა შეუძლებელია. კედელი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართება და მარტო ერთი გასასვლელი აქვს, რომელსაც ცეცხლის ალი იცავს, რის გამოც ვერც ერთი მოკვდავი შიგნით ვერ შეაღწევს. სამოთხის ყველაზე მაღალ ადგილას, შუაგულში, არის წყარო — სათავე ოთხი მდინარისა, სხვადასხვა მხარეს რომ მიემართებიან. პირველია ფისონი, ანუ განგი... ის მიედინება ინდოეთის გავლით სინლაკუსაკენ და მის წყალს ჩამოაქვს ძვირფასი ლითონები, ალოე და თვითნაბადი ოქრო. მეორე მდინარე ნილოსი ჰქვია, იგივე გეონი, რომელიც ეთიოპიასა და ეგვიპტის მიწებზე მიედინება. კიდევ ერთი — ტიგროსია, დიდი აზიისა და დიდი არმენიის მდინარე. დაბოლოს, უკანასკნელს ჰქვია ეფრათი. ის მიედინება მიდისს, სპარსეთისა და არმენიის გავლით. ვერც ერთი ვაჭარი თუ მოგზაური ვერ აღწევს სამოთხემდე ვერც ხმელეთით და ვერც წყლით. ხმელეთით იქ მისვლა შეუძლებელია უდაბნოს ველური მხეცების, გაუფიქრო კლდეებისა და ბნელით მოცული ადგილების გამო. შემოსხენებულ მდინარეებში ცურვა კი ნარმოუდგენელია მათი სწრაფი დინებისა და იმის გამო, რომ ისინი დიდი სიმაღლიდან ეშვებიან და წარმოქმნიან უზარმაზარ ტალღებს, რომელთა გადაღობვა არც ერთ ხომალდს არ შეუძლია. წყალი ისე ხმაურობს, რომ გემზე მყოფი ვერც ერთი ადამიანი ვერ გაიგონებს მეორის ხმას, თუნდაც ის მეორე ყვიროდეს. მრავალჯერ უცდიათ აქაურ მბრძანებლებს აღმა აჰყოლოდნენ ამ მდინარეებს სამოთხისაკენ, მაგრამ ამაოდ. ბევრი მათგანი დაიღუპა ან დაყრუვდა წყლის ღრიალისაგან, სხვები კი ბორტს იქით გადაცვივდნენ და დაიღრჩენენ. ღვთის ნების გარეშე ვერც ერთი მოკვდავი იქ ვერ მივა.“

ოქსფორდის ბიბლიოთეკაში დაცული ანონიმი ავტორის ხელნაწერი მოგვითხრობს იმ ბედნიერთა ამბავს, ვინც სამოთხე იხილა. ეს არის ისტორია სარაცინებთან მებრძოლი ტყვე რაინდისა, სხვა ქრისტიანებთან ერთად მრავალი წელი სატუსალოში რომ იტანჯებოდა. და აჰა, იმ სარაცინის ერთ-ერთმა ცოლმა, ვისაც ისინი დატყვევებული ჰყავდა, შეიყვარა ჭაბუკი რაინდი, განიმსჭვალა მისდამი თანაგრძნობით და საპატიმროდან ფარულად გაანთავისუფლა ბერავი ტუსალები, თან გააფრთხილა, მხოლოდ დამით ევლოთ, დღისით კი დამალულიყვნენ. დიდი ხანი მოგზაურობდნენ ისინი ერთი ტომიდან მეორემდე, ვიდრე ინდოეთს არ მიადგნენ. დიდად გაიხარეს, როცა შეიტყვეს, რომ აქაც ქრისტიანები ცხოვრობდნენ, ვისი ენაც მათთვის გასაგები იყო. მათ მოგზაურებს აცნობეს, რომ ამ ქვეყნის მბრძანებელია პრესვიტერი იოანე. მოგზაურები მისკენ გაემართნენ და პრესვიტერმაც კეთილად მიიღო ისინი. სტუმრებმა ისურვეს, ენახათ მშრალი (?) ხე, რომლის შესახებაც



ბევრი რამ სმენოდათ, პრესვიტერმა კი განუმარტა: „ამ ხეს უნდა ეწოდოს არამშრალი, არამედ სიფის ხე, რამდენადაც ის დარგო ჩვენმა მამამთავარმა, ადამის ძემ.“ პრესვიტერმა ნაიყვანა ისინი ხის სანახავად, მაგრამ გააფრთხილა, მხოლოდ იმ მხრივ მიახლოებოდნენ მას, რომელსაც თავად უჩვენებდა. ეს პირობა მოგზაურებს აუცილებლად უნდა შეესრულებინათ, თუკი შინ დაბრუნება უნდოდათ. როცა ხესთან მივიდნენ, მოგზაურები გააკვირვა ისემა სილამაზემ. ხე უზარმაზარი იყო და მრავალფერად ციმციმებდა. ზედ ესხა ნაირ-ნაირი ხილი, ხოლო ფოთლები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა; რტოებზე ისხდა ამქვეყნად არსებული ყველა ფრინველი. ფოთლები შრიალით უტკბილეს მელოდიას გამოსცემდნენ. მოგზაურებს ჩიტების გალობა შემოესმათ და სამოთხის არომაცმა გააბრუნა ისინი.

სანამ ისინი ხის მშვენებით ტკბებოდნენ, მოგზაურთაგან ერთ-ერთმა, უკვე ხანმოთუღმა მოხუცმა, იფიქრა, რომ სამშობლოს მაინც ვერ მიაღწევდა და გზაში მოკვდებოდა, ამიტომ გაფრთხილება არადა ჩააგდო და ხეს შემოუარა, თან ამხანაგებსაც ინვევდა, მისთვის მიეზაძათ და სრული ნეტარების მომგვრელი ადგილები ენახათ, მაგრამ სხვა მოგზაურებმა ვერ გაბედეს აკრძალვად დაერღვიათ, და მეფეთანად დაბრუნდნენ, რომელმაც კვლავ პატივით მიიღო ისინი, საჩუქრები უძღვნა და შინ ბედნიერად გამოისტუმრა.“

ხელნაწერი აღარას ამბობს, თუ რა ბედი ენია ალექსის დამრღვევ მოგზაურს, თუმცა ამ ამბოს ირთი გაგრძელება შემონახულია სიმონ დე სენტი-ქვენიტის „თათრების ისტორიის“ იმ ნაწილში, რომელშიც ნახსენებია ნესტორიანელი ბერი რაბათანა, ვინც იოანე პრესვიტერის კარზე ექიმი იყო. ჟამთააღმწერელი გვაუწყებს, რომ პრესვიტერის გარდაცვალების შემდეგ ბერი დიდარმენიაში გაემგზავრა, რათა აქ, ქალაქ ტავროსში, პაპის მისიონერებს შეხვედროდა. მისიონერები თათრეთში სამოღვაწეოდ მიემგზავრებოდნენ და ბერისაგან ინსტრუქცია უნდა მიეღოთ ამ ქვეყნის მცხოვრებთა ადათ-წესების შესახებ. სანამ ემისრებს ელოდა, ერთ დღეს, ქალაქში ეპირნობისას, ბერს ქარვასლაში უხმეს სტუმრებული მდიდარი ვაჭრის დასახმარებლად. წინა საღამოს ვაჭარს ძლომისად ეჭამა ვახშმად აქაური ცხარე კერძები და ნალველი აშლოდა. ბერმა მას სასაქმებელი ზეთი დააღვინა და სამკურნალოდ დამანყნარებელი ნაყენი დაუნიშნა. კარში რომ გამოდიოდა ვაჭრისაგან, მას მიუახლოვდა ქარვასლის მსახური და მონივნებით ჰკითხა, ხომ არ დაეხმარებოდა მომაკვდავს, რომელიც აქვე, უკანა ოთახში იტანჯებოდა.

ბერი მსახურს გაჰყვია. ჭუჭყიან, ბნელ ოთახში ჩალის ლეიბზე იწვა წელთა სიმრავლით გათეთრებული და გამომშრალი ბერიკაცი. ბერმა მისი გასინჯვა მოინდომა, მაგრამ მომაკვდავმა არ დაანება. ის უცებ ლათინურად ალაპარაკდა და ბერს თავისი ამბავი მოუთხრო; თქვა, რომ ტყვედ იყო სარაცინებთან, მერე სატუსალოდან გაიქცა და ეთიოპიის გავლით ინდოეთს ჩააღწია, სადაც პრესვიტერი იოანეს სტუმრობდა.

პრესვიტერის ხსენებისას ბერს უცებ მოაგონდა, რომ მეფის კარზე მართლაც მსახურობდა რამდენიმე უცხოელი, რომ-

ლებიც დასავლეთიდან მოსულიყვნენ და შინ აღარ დაბრუნებულყვნენ. მომაკვდავმა სიფის ხე ახსენა.

— ეგ არაკი მოგზაურების მოჭორილია, — შეესიტყვა ბერი, — პრესვიტერს ვრცელი და მშვენიერი ბალი კი ჰქონდა, სადაც იშვიათი ჯიშის მცენარეები ხარობდნენ, მაგრამ ეს სულაც არ იყო სამოთხე.

— მე ვნახე, ოღონდ უკანა მხრიდან. მწოლიარემ ზედ წაფარებული ზუზუნდანი რტო გამოიღო.

— პრესვიტერმა ხისთვის შემოვლა აგვიკრძალა, რათა არ გვენახა, უკან რა იყო, მაგრამ მე პირობა დავარღვეე და აკრძალულ ადგილას გავვიდი, მერე კი ხეს ტოტი შევატყეხე სამახსოვროდ.

ხველა აუტყყდა და ჩაბჭირდა, ბერი მოთმინებით ელოდა.

— იქ არაფერი იყო... მხოლოდ რტო... აი, ეს...

კვლავ ხველამ გათანგა და როდის-როდის მოსულიერდა.

— არასიტყვა ხმებდა, — ალაპარაკდა მომაკვდავი, — ვინც მას ვერ მოიშორებს, დაწყველილია...

— დაწყველილი?

— ჰო. პრესვიტერმა გაგვაფრთხილა, ალექსმა დაგვეცვა, თუკი შინ დაბრუნება გვსურდა, მე კი არ დავემორჩილე პირობას და მართალია, შინ დავბრუნდი, მაგრამ მსხემად ვიქციე, ვეღარსად დავმდგარვარ, ვერ გავჩერებულვარ. ეგ რტო არ მასვენებებს: მუდამ გგონია, რომ სადმე უნდა მივიტანო და ჩავრგო, რათა ხემ ხელახლა იხაროს, მაგრამ დედამიწაზე ამნაირი ადგილისათვის ვერ მიმიგინა.

ხმა თანდათან მისუსტდა და ბოდავდა იქცა. ბერმა თვალები დაუხუჭა მომაკვდავს და მერეც დიდხანს იჯდა მის სასთუმალთან, უძრავი, დადუმებული.

ქრონიკა აღარ გვიყვება, სად გაუჩინარდა ბერი, რომელიც პაპის ემისრებთან შესახვედრად არ მისულა. იმათაც ბევრი ძებნეს იგი, მაგრამ ვერ მიაგნეს. შემდგომ კი, პაპისადმი გაგზავნილ მოხსენებაში ეს შემთხვევა სატანის ხრიკს მიაწერეს, რადგან მათი აზრით, პრესვიტერი იოანეს კარის ყოფილი ექიმი, — სწავლული და მაგი, — სინამდვილეში ვაჭარი, მჩხიბავი, ერეტეიკოსი და ჭეშმარიტი კათოლიკური რწმენის მტერი იყო.

კროსკორდი

ქმარს თავი არ აუღია, გაზეთს ჩაცქეროდა.

— კუნძული ავსტრალიის სიახლოვეს, ხუთი ასო.

— ტონგა?

— არა.

— სამოა?

— არც ეგ.

— მეტი აღარ ვიცი. გეოგრაფია, მართალი გითხრა, სკოლაში დიდად არ მაინტერესებდა.

— ცოლი ადგა, კუპეს კარი გააღო.

— ნავალ, მოგწესრიგდები. შენ რას იზამ, კროსკორდს ამოხსნი?

— ჰო.

ქალი გავიდა, კაცმა კი გაზეთი გვერდით გადადო და ფანჯარაში გაიხედა. კუნძული ავსტრალიის სიახლოვეს, ხუთი ასო... რა უნდა იყოს? ავსტრალია, კონტინენტი,

ოკეანე და იქ პანია კუნძული... ნუთუ ასე მნიშვნელოვანია? საათს დახედა. ღამდებოდა. კუპეში ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა. კაცმა სარკმელი ჩამოსწია. გრილი ნიავი სახეზე მიელამუნა. გარეთ ბნელოდა, აღარაფერი იხილვებოდა. უცებ ვაგონი შეტორტმანდა, ბორბლებმა გაიღრჭიალეს და მატარებელი წამით დამუხრუჭდა, თუმცა მყისვე განაგრძო სწრაფი სრბოლა. ეგ იყო, რომ ანახდებული შეყოვნებისას კაცი მსუბუქად მიეხალა სარკმლის ნიბოს.

კუპეს კარი გაიღო, ქალი გამოჩნდა. პირდაბანილი, ცინცხლოდ იცქირებოდა და ის იყო, პირი დაალო რაღაცის სათქმელად, ალბათ, ტამბურში გაგონილი ანეგლოტი უნდოდა მოეყოლა, უეცრად სახე რომ შეეცვალა.

— რა იყო, რა მოხდა?

— არაფერი.

— როგორ თუ არაფერი, სისხლი გდის,

— თავი ორივე ხელით დაუჭირა კაცს და საფეთქელი სინათლისაკენ მიატრიალებინა, — მიარტყი რამეს? მოიცა, მაღამოს წაგისვამ.

ჩანთიდან ფლაკონი ამოიღო, გამოწურა და თითზე ნელ-ნელა გაჩნდა კრემისფერი ჭიკაყვლა. თითი საფეთქელს მიუახლოვდა და უცებ გაშეშდა, ქმარს ალმაცერად შეხედა.

— რაღაც ვერ გცნობ, სხვა ვინმეს ჰგავხარ.

— ვის?

— რა ვიცი, ვინმეს... ველურს... ღმერთო, რა უცხო ხარ!

მატარებელი ისევ შეტორტმანდა და თავის შესამაგრებლად ერთმანეთს ჩაეჭიდნენ, თუმცა წუთის შემდეგ პირისპირ ისხდნენ რბილ სავარძლებში და დაძინებამდე არც ერთს ხმა არ ამოუღია.

მივლინება

ჰეპლანდი აქ იყვნენ მის გასაცლილებლად: დედა, დები, ნათესავები და მეზობლები... მწუხარედ ეთხოვებოდნენ ისინი ბათურს, ვინც ეგოდენ ხანმოკლე დრო დაჰყო მშობლიურ სახლში და ახლა ისევ გზას უნდა გასდგომოდა. ბათური ჯერაც ახალგაზრდა იყო, ბევრი რამ ენახა და ქვეყნიერებაც შემოეწლო, მაგრამ ვერსად დავანებულიყო, ვერ დამკვიდრებულყოფი და ვერც ოჯახს მოჰკიდებოდა, საბოლოოდ კი იძულებული გამხდარიყო, აქაურობაც მიეტოვებინა.

„დავბრუნდები,“ — ამბობდა თითქოს განანამები ღიმილით, მორცხვად, თუმცა ბაგეებს უილაჯოდ ალამუნებდა და არც იმისი ხმა ესმოდა ვინმეს; ეს დაპირება თავად ბათურსაც არ სჯეროდა ალბათ. ვითომ დაბრუნდებოდა? როგორ, რანაირად? რას მოიმოქმედებს? ნუთუ ერწმუნებიან?

„დაგვიბრუნდი, ბათურ!“ — ეხვეწებოდნენ ქალები, ბათური კი მდუმარედ გადაგანხე. მიახლოებას არავინ ცდილა. იცოდნენ, ბათურს განმარტოება უყვარდა და არ უნდოდათ, მისთვის მყუდროება დაერღვიათ. ბათურს ესმოდა ქალების შიშვეული ნამოძახილი, როცა ერთმანეთს ბათურის პოვნის ამბავს უყვებოდნენ ტუტუნით, ხმის დაწვეით, თითქოს ამის ხმამაღლა გამხეულა სირცხვილი იქნებოდა. არადა ბათურს სათაკილო არაფერი უქნია, ეგ იყო, რომ მარცხი შეემთხვა მხოლოდ; ალღოს ემტყუნა და ისეთ ადამიანებს ნდობოდა, ვინც ამკარად ეპირფერებოდნენ, ზურგსუკან კი სამარეს უთხრიდნენ. ბათურს კი მათი ერთგულება ეიმედებოდა. ეჰ, ჭრელი ყოფილა ნუთისოფელი! შურმა და ზაკვამ თავისი ქნა და ბათური დამნაშავედ ცნეს...

დებმა უკვე საგზალი გაუმზადეს ბათურს. მომცრო ფუთა, არგანთან და ხამლებთან ერთად ღარიბულ კუთხეში ეწყო. დედამ ჯერ ცრემლი დაანურა ბათურის ნივთებს, მერე შვილის სამოსს რამდენიმე წვეთი სურნელოვანი ზეთი დააპკურა. ბათურს გული შეუკრა შინაურების გლოვამ. ნუთუ დიდი ხნით?! ვინ იცის, დაბრუნდება კი ოდესმე? მივლინების ამბავი გაურკვეველი იყო: ზოგი კარგა ხანს რჩება აქ, ზოგს კი მალევე იბარებენ უკან... მისი ბედი ჯერაც გაურკვეველია, არავინ უწყის, კიდევ რას დაავლებენ! არადა თითქოს შესწევოდა აქაურობას. რაც არ უნდა იყოს, ამათი ხორცი ხორცთაგანია და სისხლი სისხლთაგანი... ალბათ, ამიტომაც არ ეთმობა ესენი... თანაც ზოგჯერ ადამიანები არც ისევ მავნენი არიან, ეგ არის, რომ

გულსყური აკლიათ და დაუფიქრებლობა მოსდგამთ. ბათურს უყვარდა ისინი, თუმცა მათ ეს სიყვარული არ დაუმსახურებიათ. ასე შეიძლება გიყვარდეს ბალახიც, ღრუბელიც, ცელიც ლექვიც ან ხატულა პეპელა თუ ჭიამაია, მაგრამ ადამიანი მეტს ითხოვს...

ქალებმა ამოიხრეს. განშორების დრო დადგა. გუშინდელს აქეთ ბათურს ტანი სტეხდა, ღამით უძრავად წოლას ღამის გაეშეშებინა. კიდევ კარგი, რომ დროულად იხმეს უკან. გაშეშება სიმსუბუქედ იქცა. აღარც სიბნელე სტეხდა თვალს და თითქოს თავადვე ასხივებდა შუქს, აფოფონებულნი, ნასასველებელი გამზადებული. მან ნაღვლიანად გადახედა შინაურებს და კარისაკენ დაიძრა, მაგრამ მისდა გასაკვირად, არავის გაუცილებია. ქალები ტახტზე გაფენილ სამოსთან შეგუფდნენ და მოთქმით ატირდნენ. მკვდრებს შორის ნუ მეძებო, უნდოდა ეთქვა ბათურს და როგორმე ენუგეშებინა ისინი, მაგრამ მიხვდა, რომ ხმას ვერ მიანვდენდა, ვერაფერს გააგებინებდა და დროც აღარ იყო საამისოდ, რადგან ნუთსაც ვეღარ დაყოვნებდა, ვერ შეიცვლიდა: უკვე უხმობდნენ შორეული, ეძახდნენ, და ისიც უნდა წასულიყო, უკანმოუხედავად გამგზავრულიყო...

კანკაში

კანკაში ქობულთაში ცხელი უცხოვრია განსაცვიფრებელი ნიჭის ხელოვანს, სახელად პიგმალიონს, როგორც ამბობდნენ, ჰელიოსის შთამომავალს, ისე კი ნამდვილად ფინიკიელი ქურუმების გვარისას, ვისი წინაპრებიც აქ ოდიოგანვე მკვიდრობდნენ და ვინც ისე დაოსტატებულია უჯიბით მარმარილოსაგან ღვთაებათა სერნანის უტყუარად გამოკვეთაში, რომ მადლიერ ღმერთებს ქანდაკების გაცოცხლების უნარიც მიეძოძებინათ მისთვის; უკეთ რომ ვთქვათ, პიგმალიონი თავად როდი აცოცხლებდა ნაშუშაკვესს, არამედ უკვდავ ღმერთთა ნებით და მათი შეხედულებისამებრ, ისე რომ, ქანდაკი თავისით ჩამოდიოდა პიედესტალიდან და კაცთა შორის ბუნებრივად მყოფობდა. ჩვენამდე მოაღწია ამბავმა, ვითომ ღმერთებმა პიგმალიონს მარტო ერთი ქანდაკი გაუცოცხლეს — მის მიერ დიდი ხელოვნებით გამოკვეთილი ნავსიკაე, ქალაქელი ჰეტერა — თუმცა დანამდვილებით არის ცნობილი, რომ მათ ასევე შთაბერეს სული სხვა უტყვე ძეგლებსაც და პიგმალიონმა მალე მცირერიცხოვანი ხალხის მამამთავარიც კი გახდა — იმათი, ვისი სულიც ქვაში იყო დატყვევებული და ზეციერთა სურვილით განთავისუფლდნენ მიმე მატერიის საპყრობილედან.

თავად პიგმალიონი სულაც არ მიიჩნევდა ამას სასწაულად: ვისაც ღვთაებათა ძალა სწამს, იცის, რომ ამქვეყნად შეუძლებელი არაფერია; სული ყველგან არის, ამიტომ ქვიდან ხემი ანდა ხიდან ადამიანში მისი გადინაცვლება ისეთივე მოვლენაა, როგორც წყლის აორთქლება თუ ყინულად ქცევა. პიგმალიონს ის უფრო გაუკვირებოდა, ქვეყნიერება მკვდარი რომ ყოფილიყო, თორემ ქვისა და ადამიანის შექმნა აკიდევკალიონსა და პირასაც შეეძლო! თავად მხოლოდ ფორმას აძლევდა მარმარილოს, ადამიანს ამსგავსებდა, დანარჩენს ღვთაება იქმოდა...

და მაინც ვერავინ უარყოფდა, რომ ღმერთთა ნებური იყო, რჩეული, რაღაი აკი სწორედ მას გარდმოვლენოდა ზეციური ნიშნის სასწაულისა და მადლი მკვდართა ადვანებისა, რამეთუ მარმარილოს ზოდი, ასე თუ ისე, უსიცოცხლო მატერიაა და თანამოქალაქენიც მონინებით ადიდებდნენ ზეგარდმო ნიჭით ცხებულ შემოქმედს, ვისაც ნილად ხვდომოდა იმვითაი ბედნიერება — სული ჩაეგდა მარმარილოს ადამიანისათვის...

ეგ არის, რომ ზებუნებრივმა უნარმა პიგმალიონს ოდნავ ავნო კიდევ, რაღაი მისი სახელოსნოს კართან მუდამ იდგნენ მომლოდინე მთხოვნელები, ვისაც ახლოვრებიან და გულით მისანდონი დაპყროვლები და მათი გაცოცხლება სურდათ; ამადე ევაგებოდნენ ოსტატს, მიცვალებულები გამოქანდაკებინა, ვინცლო გაგვიცოცხლდნენ; პიგმალიონიც სიბრაღის გამო უარს ვერავის ეუბნებოდა და სახელოსნოც საგოდებელს

დაემსგავსა — ძველი თუ ახალი მიცვალებულების ქანდაკებით ისე გაივსო, თავი კუდს ვერ მოიქნევდა. ზოგჯერ პიგმალიონი აჯანყდებოდა და ქალაქიდან გადაიხვეწებოდა, რათა ჯერაც განუხორციელებულ შედეგზე ეოცნება, ანუ ისეთი ქანდაკი შეექმნა, სხვისი აღე არ დასჭირვებოდა ნიმუშად; თანამოქალაქეების უხემ, ხორციელ სერნანს კი არ ემსგავსებოდა, მთლიანად ეთერული პაეროვნებისაგან იქნებოდა თხზული; მაგრამ ადამიანებისადმი სიბრაღული ისევ სახელოსნოში აბრუნებდა და კვლავ მორჩილად ხვდნდა და ამანდაკებდა ან უკვე საიქიოში გადასულთა სახეებს...

უშურველად იღწვოდა და ღმერთებიც წყალობას არ აკლებდნენ, აცოცხლებდნენ და აღადგენდნენ მიცვალებულებს, სანამ პიგმალიონი სხვათა მწუხარების გამო ირჯებოდა, მაგრამ ხომ დიდი ხანია ცნობილია, რომ ღმერთები მუდმივად არ ანებებდნენ ადამიანს და მათაც პიგმალიონს განსაცდელი მოუვლინეს: ერთხელაც, როცა მეზობელ ქალაქში მარმარილოს მარაგის ჩამოსატანად იყო ჩასული (მასალას პიგმალიონი თავად არჩევდა და არავის ენდობოდა!), ვინმე ვაჭართან სტუმრობისას შემთხვევით მისი ცოლი იხილა და მისი მისადმი ტრფიალებით განიხმჭვალა. ქალის დანახვისას პიგმალიონი ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა, გული ყელში მოეჭვინა და თვლი დაეხინდა. აღარ გაეგებოდა, რას ლაპარაკობდა და რას იქმოდა. ხან ჭიქა ნაქცევად სუფრაზე, ხან ლუქმა გადასცდებოდა და ხანაც ზაფრანასავით ისე ყვითლდებოდა, შემფოთებულმა მასპინძელმა ჰკითხა, ავად ხომ არა ხარო; პიგმალიონმაც ნაღვლის ტკივილი მოიმიზუნა, ვაჭარს გამოემშვიდობა და შინ დაბრუნდა. რამდენიმე დღე რეტდასხმულივით იყო, დამუნჯდა, დადუმდა, კარსაც არავის უღებდა, მერე სახელოსნოში ჩავიდა, საჭრეთელი აიღო და მარმარილოს ზოდს შეახო...

ქალის სახებას ეძებდა ქვაში, ის უნდა გამოეკვეთა, გამოეცალკეებინა როგორმე, რათა შემდგომ, ღმერთთა ნებით გაცოცხლებული, საშუადამოდ მისი გამხდარიყო... აი, რა მოეფიქრებინა საბრალო პიგმალიონს! მისი, იმ ცოცხალი სატრფოს ორეულის შექმნა, მერე რომ დაისაკუთრებდა, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდდა, ნათქვამია; პიგმალიონს ხელოვნება კი მოსდგამდა, გლუვი მარმარილო ნაოცნებარი მიჯნურისათვის მიემსგავსებინა, მაგრამ დაინწყინდა, რომ ქანდაკის გაცოცხლება ღვთის ნება-სურვილი იყო. ჰოდა კი ხანი მოუწია ლოდინი, მუხუც ქანდაკი თუ ვით გაცოცხლდებოდა და ამეტყველდებოდა!.. სახელოსნოში დათენ-აღამებდა და მორიგ სასწაულს ელოდა, მაგრამ ვაგლახ, ქანდაკება კვლავაც უტყვი იყო და უძრავი! კვლავაც თვალდაშრეტილი გადმოჰყურებდა პიედესტალიდან ცარიელი ფოსოებით სვეუბედურ მიჯნურს, ვისაც უფროდაუფრო ედებოდა ცეცხლის ალი. ბოლოს, ტანჯვა-წამებას რომ ვეღარ გაუძლო, პიგმალიონმა დელფოს სამისნოში წასვლა იზრახა, რათა ხელოვანთა მფარველი აპოლონისათვის ეთხოვა დახმარება და ორაკულისაგანაც შეეტყო მიზეზი წყალობის მოკლებისა; ეიმედებოდა, რომ ქანდაკი გაუმხელდა მარცხის მიზეზს და ცოდვის რაობას, სასწაული და ნიშები თუ რად შეწყვეტილიყო. მერე იქნებ ცრემლით გამოეთხოვა ნათელმფენი ღმერთისათვის მიჯნურის სული; გულგასენილი და თან იმედით აფოფინებული, ხომალდზე დაჯდა და მშვიდობიანად მიცურდა კლდოვანი საბერძნეთის ნაპირამდე, იქიდან კი მომლოცველთა ქარავანს დაემგზავრა და რამდენიმე კვირიანი მგზავრობის მერე დელფოს მიაღწია.

რაკილა მომვლელი ბევრი იყო, პიგმალიონი ტაძრის გლავნის გარეთ დაბინავდა და ძლივს მოახერხა ტაძარში სალოცავად შესვლა. ის იყო, აპოლონის ქანდაკს მიუახლოვდა, ჰიერომნემონმა რომ ისევ გარეთ გაიხმო და ტაძრის წინამძღვართან გაუძღვა. ცხადი იყო, სხივოსან ღმერთს უკვე შეეტყო მისი აქ მოსვლა და უნამძღვრისათვისაც ენიშნებინა, ალბათ, პითიას პირით; დაბნეული პიგმალიონი მდივანს გაჰყვა. წინამძღვარმა კეთილად მიიღო, რაღაცეები გამოჰკითხა, მერე ბინად ტაძრის სიახლოვეს მიიწვია, გაღავნის შიგნით — ღმერთებს ეამებათ, თუკი

მათ გვერდით დაივანებო... პიგმალიონმა ჰკითხა, ეს წყალობა რით დაგიმსახურეო.

— წყალობის მიზეზს ღმერთები არ გვიმხელენ, პითია მარტო მათ დანაბრებს აუნყებს ხალხს, — მიუგო წინამძღვარმა და საუბრის დასრულება ანიშნა. პიგმალიონი გარეთ გავიდა და ეზოში გაჩერდა. ცოტა ხანს ასე იდგა, მერე კასტალიის წყაროსკენ გასწია. სხვებთან ერთად აიაზმა ისხურა, წმინდა ჭურჭლით წყალი იგემა და ჩრდილოვან ჭალაში მიჯდა ფიქრით გასართველად. მირტის ბუჩქებში ჩიტები ჟღერდებოდნენ, დაფნარში მზის სხივი იცრებოდა. პიგმალიონს თვლემამ მოერია, მერე უცებ შეტკოდა, რადგან მოეყურა, ვილაც მეძახისო.

— პიგმალიონ! — გახმინდა ისევ. პიგმალიონი წამოხტა და მიმოიხედა. ჭალაში მარტო იყო, თუმცა ცხადად გრძობდა ვილაცის თანდასწრებას, ღვთაების სიახლოვეს რომ მიანიშნებს, და პიგმალიონსაც შიშით თმა აებურძგნა, გაქცევა დააპირა, მაგრამ ფეხები თითქოს ფესვივით ჩაზრდოდა მინას. მიხვდა, უნებურად ღვთაების ნაკრძალში შესულიყო, სადაც რიგით მოკვდავს არაფერი ესაქმება და აკი ამიტომაც კანკალით მოელოდა სასჯელს, ცაგრუხუნილი ჩამოიქცევა ან ელვა გამგმირავსო, მაგრამ არაფერიც არ მომხდარა. ბუჩქებიდან კი ვილაც აშკარად იძახდა:

— ნუ გეშინია, პიგმალიონ, აქ მო! პიგმალიონმაც გაბედა და ბუჩქნარში გაიხედა. ჰოი, ღმერთები! მდელიოზე ტურფა ასული იჯდა ფეხმოკეციტო, სახე სანახევროდ მანდილით მოებურა, პიგმალიონს ღმილით შემოჰყურებდა.

— ნუ გეშინია, — გაუმეორა იმან, — მომიახლოვდი.

პიგმალიონმა ბუჩქები გადასწია და მდელიოზე გავიდა. ასულმა უხმოდ ანიშნა, გვერდით მომიჯექო. მისი სიტურფით ჯადოქმნილი პიგმალიონი მდელიოზე დაჯდა და ქალს თვალი გაუშტერა. ვილაცის კი მიამსგავსა, მაგრამ ისე იყო დაბანგული, ვერ გაიხსენა, ენახა თუ არა მანამდე; ასულმა შენიშნა მისი დაბნეულობა და ღმილით ჰკითხა, რას შეუწუხებხარ, დელფოს რად სწვევებარო.

— უიმედო ტრფობის გამო, — მიუგო მჭმუნვარედ პიგმალიონმა, — ეროტმა დამჭრა თავისი ისრით.

ქალმა ახლა სატრფოს სახელი ჰკითხა. — როდი ვიცი, — ამოხვიწვით თქვა პიგმალიონმა და ღამის გული ამოაყოლა, — ერთხელ, ერთადერთხელ ვნახე.

მერე უამბო, თუ როგორ გაუმიჯნურდა ვაჭრის ცოლს, ვისაც არ იცნობდა და არც ეიმედებოდა, რომ ქალი თანაუგრძობდა და თანახმა გაუხელობდა. ქალმა ისევ გაუღიმა.

— მე თუ მისურვებდი მიჯნურად? — ჰკითხა შემდეგ.

პიგმალიონი შემინებული მიაჩერდა უცხო ასულს.

— ვინა ხარ, დემონი?

— როდობიდა მქვია, ფლეიტას ვუკრავ და კაცებს ვართობ.

— ჰეტერა ყოფილხარ.

ქალი იღიმოდა და დაშტერებით უცქერდა. პიგმალიონი დაზაფრა მისმა მზერამ.

— არავის ვეკუთვნი, — თქვა მერე როდობიდა, — აფროდიტას გარდა.

— აქ... აქ რისთვის მოსულხარ?

— დელსასწაულზე დასასწრებად. მინდა აპოლონს ფლეიტის დაკვრით ვაამო. პიგმალიონს ოფლმა თმის ძირები დასწვია.

— მე მოქანდაკე ვარ, — ამოღერდა ბოლოს, — მაგრამ ღმერთებმა ნიჭი წამართვეს...

როდობიდამ ხელზე ხელი შეახო. — საღამოს ჩემთან მოდი. მაცნეს გამოგზავნი. ახლა კი მშვიდობით.

პიგმალიონი ადგა და ბარბაცით გაეცალა. საღამომდე მთვარეულივით იხეტიალა ტყე-ღრე, მერე ტაძარს მიუახლოვდა და შესასვლელთან მსახური გოგო დაინახა. მან თავის ჩაქნევით ანიშნა, მომეყვიო. პიგმალიონი ლეკვივით აედევნა. მისახურმა თილილი ქვით ნაგებ სახლთან მიიყვანა, კარი შეუღო, დერეფანი გაატარა და კრეტსაბმელი გადაუწია. პიგმალიონი შევიდა. როდობიდა სანახევროდ წამოწოლილიყო ტახტზე, მკლავქვეშ მუთაქა ამოედო, ხელში პექტიდა ეჭირა — ლიდიური ოცსიმიანი არგა. — კარგია, რომ მოხვედი, — უთხრა და

ტახტზე მიიწვია, — მიინდა, ჩემი ამბავი გაამბო, ვინა ვარ და რას დაწვებო.

პიგმალიონს გაუკვირდა.

— განა როდობიდა არ გქვია?

— ჰო, — მშვიდად მიუგო ქალმა, — მაგრამ სახელი არაფერს ნიშნავს. ახლა როდობიდა ვარ, სხვა დროს იქნებ ქარიკლეა მერქვას ან თისბე, ანდა არსინოე...

— ვერაფერი გამიგია, — აღიარა პიგმალიონმა, — მე რად მომიტხრობ მაგ ამბავს?

— მამისეულ სახლში ვცხოვრობდი, — წყნარად განაგრძო როდობიდა, თითქოს პიგმალიონის კითხვა არც გაუგონია, — სახლი მთაზე იდგა, მყარი, მტკიცედ დაცული... ზემოდან ვხედავდი უსაზღვრო ველებს, მზის ციალს, სივრცის იალ-იალს, დაბლა კი მრუმე აჩრდილებს, რომლებიც მოძრაობდნენ და უნესრიგოდ ირეოდნენ... მამა მეუბნებოდა, რომ ქვემოთ ადამიანები იყვნენ, მე კი არასოდეს მენახა ისინი... ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა და აჰა, ერთხელაც მამის უკითხავად მინიდან გამოვიპარე, რათა ქვემოთი ქვეყანა უფრო ახლო მენახა. შორს წასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ უნებურად გზა ამეზნა. ვერ ვიტყვი, რომ მოვიხიბლე ან შევცდებულდი იმით, რაც ვნახე; ადამიანებს კი დაჟინებით ვაკვირდებოდი და ეტყობა, იმათაც შემამჩნიეს, მომეახლენ... როდობიდა გაჩუმდა და პიგმალიონს შეხედა.

— მას აქეთ ადამიანთა შორის ვცხოვრობ, — თქვა მერე, — ოლონდ ხანდისხან ნაღველი მიპყრობს, მამისეული სახლი მენატრება, მაგრამ გზა დავეკარგე და აღარც მეგზური მყავს ვინმე. მამა ხშირად მეუბნებოდა, თუ დაიკარგები (ჩანს, გული უგრძობდა, რაც შემემთხვეოდა), მსხნელს გამოგიზავნი, ვინც გიპოვის და შინ დაგაბრუნებსო.

ქალი გაჩუმდა და ცოტა ხანს თითქოს უბრად იყო. მერე ჩანეს თითები ჩამოჰკრა და გულსაკლავი ჰანგი ააფლერა.

— ვიცი, მამა არ მომაცხუებდა, მეგზურს აუცილებლად მომივლენდა, მაგრამ ის ვერ მოულობს, ვერ მცნობს... ამიტომაც მოვედი დელსასწაულზე, ხალხმრავლობაში, რათა აპოლონის შენეებით მამაჩემის ელჩი თვალი აეხილოს და მნახოს...

როდობიდა ჩანგს ხმადებლა აუღერებდა და თან პიგმალიონს შესცქეროდა. პიგმალიონი რაღაცას მიხვდა.

— ღმერთებს ყველაფერი შეუძლიათ, — თქვა ნაღვლიანად, — ოლონდ არ ვიცი, მოისურვებენ თუ არა შენს შევლას.

— ამბობენ, პარნასის მთის ძირას წყაროა, რომელიც ადამიანს წარსულს ახსენებსო.

— ეგ საიქიოს წყალია, — გაანწყვეტინა პიგმალიონმა, — ცოცხალი მას ვერ დალევს.

ქალი უფრო და უფრო გამჭოლ უცქერდა.

— მწყურია, — უთხრა მერე, — მაგინაზე კრატერია და მომანოდე.

პიგმალიონი კრატერის ასაღებად მიიქცა და როცა კვლავ ქალისაკენ შებრუნდა, ტახტზე აღარავინ დახვდებოდა — ჩანგიც კი გამქრალიყო. როდობიდა მოსაძებნად კრეტსაბმელი გადასწია და ზღურბლს იქით წყალი დაინახა. პიგმალიონს გაუკვირდა, მაგრამ ბევრი აღარ უფიქრია, იშვირა ფეხი და მორევში ჩახტა...

სიგრილემ გამოაფხიზლა. ისევ დაფნარში იჯდა, ხის ძირას, და მიხვდა, რომ სიზმარი ნახა, ოლონდ უცნაური იყო, რომ მუჭში ორი სველი კენჭი ჩაიბღლუჯა... ჰო, ღმერთები უთუოდ რაღაცას ანიშნებდნენ ამით! ტაძარში აღარ მისულა, ნავსადგურისაკენ გასწია, ხომალდზე ავიდა და შინ დაბრუნდა. იქ კვლავ სახელოსნოში ჩაიკეტა, სატრფოს ქანდაკთან ერთად, თვალმოუწიებლად რომ შესცქეროდდა; დროდარო მუჭს გამოშლიდა და კენჭები ქანდაკთან მიჰკინდა. ჰოდა, ერთხელაც ქვეშა გაიბრჭყვიალეს და პიგმალიონსაც სიხარულის ოხვრა აღმოხდა, მოცმციმე კენჭები ქანდაკს ფოსოებში ჩაუსვია და სატრფოს თვალუბიც სიცოცხლის სხივით აკიდდნენ. პიგმალიონმა ახლა კი გაიფიქრო შეჰყვირა, რაკი ეგონა, რომ ქანდაკი გაცოცხლდა, ხელები გაშალა სატრფოს მოსახვევნად, როცა მარმარილოს თვალებიდან უცვარმა ელვამ იფეთქა და დამეხილი პიგმალიონი ძირს უსულოდ დაეცა...



ემზარ კვიციანიშვილზე ფიქრისას მეხსიერებაში უმალ ის ათასი ჭირ-ვარამი წამოტივტივდება, რაც მას გამოუვლია. ცხოვრებამ რამდენი ძირმწარე დაუდო თავით, რამდენჯერ მოუწყო დიდი განსაცდელი, არადა, ერთობ მდიდარ კაცად მესახება. არა იმ კუთხით, როგორც სიტყვა „მდიდარის“ ნაკითხვისთანავე მავანი გაივლებს გულში — ფინანსურად მასაც ისეთივე ავდარი უდგას, როგორც მის ბევრ თანამოკალმეს, თუმცა, როდის ყოფილა არსთა გამრიგეს ყველანაირი სიკეთე უბოძებია ადამიანისათვის; ემზარის სიმდიდრე მისი უნიკალური ნიგნებია. კარგი ლიტერატურის საუფლოში ცხოვრობს. რაც მას ჩემთვის დიდებული ნიგნები უთხოვებია — ძალიან იშვიათი, ძველისძველი გამოცემები — ის რომ გასაყიდად გაიტანოს, ალბათ, სულს მოითქვამს, მაგრამ არა: ემზარი ნიგნიერთა თაობის შვილია, იმათი ნაგრამი სიმდიდრედ ადამიანის ნიგნიერებას რომ მიიჩნევდა და ეს მეცხრე ათეულში გადამდგარი კაცი კარგ გამოცემებს კვლავ სანთლით დაეძებს, თუ სადმე წააწყდება, კვლავ შინ მიაქვს. ისე მოგახარებს, ესა და ეს ძვირფასი ნიგნი შევიმატეო, თითქოს კიდევ ერთი ბიჭი შესქენოდა.

ბევრი რამ იცის, ბევრ რამეს ჩასწვდა და ამიტომ მის ესეებს ყოველთვის ველოდები. „რქანთელის მტევანი“ ჩვენს ლიტერატურულ პრესას ამდიდრებს. ლიტერატურულ ცხოვრებას საინტერესოს ხდის. ზურაბ კიკნაძის, გივი შაჰნაზარისა და თავისი სიტყვების ამბავი ისე ცოცხლად, ხატოვნად აღწერა, მომეჩვენა, მეც იქ ვიყავი, თითქმის იმ ამბების მონაწილე გამხადა. თუნდაც რეზო ჭიჭიშვილის ცხოვრების ფურცლების მისეული შევსება გავიხსენოთ. ჩვენი დიდებული პროზაიკოსის ყოფის, შემოქმედების ისეთი წახნაგები წარმოგვიჩინა, განსაკუთრებით მისი მიმართება თეატრალურ ხელოვნებასთან, რომ კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენი ცოდნა მასზე. ერთ-ერთ ესეში ბაყაყანიანს შეხვედრის მიხედვით აბბაი სწორედ მწერლობის ოსტატობით აქვს დაწერილი და მიუხედავად იმისა, რომ ბაყაყი არ უნდა იყოს მიჩნეული ფლორისა და ფაუნის მარგალიტად, ერთობ დასამახსოვრებელ „პერსონაჟად“ აქცია. სწორედ აქ ჩანს მწერლის ოსტატობა, ამიტომ სრულიად ბუნებრივად მეჩვენება მისი სურვილი, დაწეროს ნიგნი კატეგორია. ამ რამდენიმე ხნის წინათ ბროდვეიზე ვებერის დიდებულ მიუზიკლს „ქეთს“ („კატები“) რომ ვუყურებდი, ვინატრე, ნეტავ, ემზარიც აქ იყოს, ისიც ასევე უყურებდეს-მეთქი ამ მიუზიკლს — იმდენად საინტერესოა, მრავალფეროვნად იყო წარმოჩენილი კატების ცხოვრება, მჯერა, ემზარს კიდევ უფრო გაუძლიერებოდა ამგვარი ნიგნის დაწერის სურვილი. ისიც მჯერა, ემზარი მაინც დაწერს ამ ნიგნს და გაამდიდრებს ქართველი მკითხველის ცოდნის არეალს. ხოლო რაც შეეხება ანა ახმატოვაზე დაწერილ ლიტერატურულ ნარკვევს, ეს არის ჩინებული ნიმუში პოეტის ღვაწლსა და ტკივილებზე ფიქრისა. პოეტისადმი რაოდენი პატივისცემა იკითხება ამ ნაღველით გაუღენთილ ტექსტში; და ეს ყველაფერი ანა ახმატოვასა და მარინა ცვეტაევას მემკვიდრეობის ჩინებულ ცოდნასა და ანალიზთან ერთად.

ორ ათეულ წელზე მეტია, ჩვენი გამოცემლობები ისეთ ლიტერატურას სცემენ, მათი ნაკითხვა ოცნებად რომ გვკონდა გადაქცეული. მაღლობა მათ ასეთი გარჯისათვის. კიდევ უფრო დიდი მაღლობა იმისათვის, მიგვახვედრეს, თუ როდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონია რეკლამას, როგორც დღეს ეძახიან ნიგნის, მწერლის გაპირებას, თორემ რამდენი ქართველი მწერლის ნიგნი და მათ შორისაა „რქანთელის მტევანიც“...

აქ შევჩერდები, თორემ ვიღაც მეტიწარა ყალბი პატრიოტობის იარაღის მომაკერებს. დღეს ესეც გაიოლდა.

ლენინმა უთხრა სტალინსო, რატომ სჭამ ამდენ მწვანე ხაჭაპურსო, სტალინმა უთხრა ლენინსო, შენ უარესი გელისო.
მღეროდნენ ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და ტარიელ ჭანტურია... ისე, ზოგიერთ ქართველ მწერალთა პიროვნუ-



გურამ ბათიაშვილი

სახეები და სიტუაციები

ლი რაობა რომ შეგეცნოთ, სუფრაზე მათი ლხინისთვისაც უნდა მიგედევენებინათ თვალი და დარწმუნდებოდით, თუ როგორი სულისკვეთებისანი გახლდნენ: თავის გადარჩენისათვის მათ მიერ ნათქვამი ზოგადი ფრაზები თუ ვალისმოსახდელად დაწერილი სტრიქონები ჭეშმარიტების, ეროვნული ინტერესების დამკვიდრებისა და უფრო სერიოზულის თქმისათვის გაღებული ხარკი იყო.

ჯანსუღ ჩარკვიანიც ამათი მოდემისა და ჯიშისა იყო: ქართული სულისკვეთების, ჭირში გამომდგომი და ლხინში დამამშვენებელი. ტრიბუნასთან მდგარსა თუ სუფრასთან ამღერებულს, გუშინ თუ საუკუნის წინათ მომხდარზე მოსაუბრესა თუ ოპონენტებთან მოპაექრეს რომ შევცქეროდით, არაერთხელ მიფიქრია, ალბათ, ასეთი იყვნენ ის ქართველები, ამ ქვეყნის სახედ და დამამშვენებლად რომ შეურაცხავთ-მეთქი. იმდენად ძლიერი იყო, ათას სიბინძურეს გაუძლო — ტალახის სროლა არ დაიზარეს. მრავალგზის ესროლეს სწორედ იმათ, ვისაც ყოველდღიურობაში მისი სულისკვეთება უნდა გამოეჩინა. მაგრამ რა, გამოხდა ხანი და ტალახის მსროლელთა ის ტალახი სულზე, სხეულზე მიეკროთ, გატალახიანებულნი შემორჩნენ დრო-ჟამს — სულიც გაიტალახიანეს და სხეულიდანაც ვეღარ ჩამოიფერთხავენ სიბინძურეს. ჯანსუღის კი ნაწიდა, როგორც ხალხის გულისთქმის გამომხატველი პოეტი.

ჯანსუღ ჩარკვიანი ჯანსუღ ჩარკვიანისავე წინააღმდეგავ გამოიყენეს, როცა მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი ძალუფლების ხელში აღებისას, მაშინ, როცა მის მეგობარ სიუზერენზე მიჰქონდათ იერიში, ჯანსუღისავე ლექსით („თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია!“) იმხნევედნენ თავს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პოეტის შემოქმედების რაობას — მის სტრიქონებში მოწინააღმდეგეც კი ჰპოვებს საზრდოს — იგი ყველასავე, ყველას სჭირდება. იმ დღეს იმ სიმღერით პოეტის პოლიტიკური იდეოლოგიური მოწინააღმდეგენი ჩარკვიანის სულისკვეთების გამომხატველად წარმოაჩენდნენ თავს. ჯანსუღი კი სათქმელს გულში არ ჩაიდებდა, ქვემოქვეშა, ზურგსუკან, შეთქმულის ჩურჩულით მთქმელი კი არ იყო — არ დაახანებდა, ხმამალა, ყველას გასაგონად იტყოდა მაღლიანად, გზნებით. ამან, ცხადია, ბევრი გულმხურვალე მოყვარე გაუჩინა, მაგრამ არც აუგად მომხსენიებელი დაჰკლებია.

მოქილიკეთა და აუგად მახსენებელთა გასაგონად მინდა, გავიხსენო: სადაც კი მივდივარ, ლხინის სუფრა იქნება, თუ ჭირისა, ჯანსუღიც იქ არის, სუფრის თავშია მოქცეული. ადამიანები მის სტრიქონებს იშველიებენ, რომ თავიანთი გულისნადე-

ბი უკეთ გამოთქვან. არაერთხელ მსმენია ჭარმაგი კაცისა თუ ჭაბუკის მიერ წარმოთქმული:

მწყურვალისათვის მიმატანინე წყალი, მოვალისათვის მიმატანინე ვალი, გზაბნეულისათვის

მასწავლებლებზე გზები, შეუნამლავე შემანამვლინე ზვრები...

მიცვალვებულს კი არ უნდა გადაუდგნენ წინ, იცხოვრონ ამ სულისკვეთებით, ასეთი რწმენა ჩაუწერონ ადამიანებს — ნაცნობსა თუ უცნობს, ჭაბუკსა და ზრდასრულს, თქვენ ჯანსუღისადარი სტრიქონები და „მერე ნამოვალ, ნამოვალ, საცა გინდა...“

ჯემალ სეფიაშვილის მიერ კარგა ხნის წინათ ნათქვამი ერთი ფრაზა დროდადრო ჩამესმის ყურში: „სიმღერა, მუსიკა მმართველ პარტიასაც სჭირდება და ოპოზიციასაც, ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ, თუ ისეთი ვიქნებით, როგორნიც უნდა ვიყოთ, დაგვისაჭიროებენ, დაგვიძახებენ, არ დაგვიძახებენ და...“

ერთ დროს აუხიბდნენ — „ჭიკჭიკებდნენ“, კომკავშირის, პარტიის საამო სიმღერებს ქმნისო. თავის გამომჩენის ეს დაუცხრომელი მოტრფიალენი, მწირი გონებისა და განათლებისა ყოფილან და ვით ჩასწვდებოდნენ, მელოდია, სიმღერა ხალხისათვის იქმნება — იმისათვის, რომ ადამიანებს სიხარული მიანიჭოს. და თუ ასე არ არის — თუ ხალხმა სიმღერაში თავისი სული, ბუნება ვერ ჰპოვა, ისე უბრალოდ აუქცევს გვერდს, თითქოს სმენა სამარადისოდ ჰქონდეს დახშული. ჯემალის სიმღერებს კი მღერიან და ისმენენ. ეს იმიტომ, რომ ადამიანებისათვის ქმნის, ადამიანის ტკივილსა და სიხარულზე. ეს ადამიანები — კაცნი თუ ქალები კი, ხან კომკავშირის არიან, ხან ამათუიმ პარტიის წევრები, ხანც ამათუიმ პარტიის ლიდერობის ამოად მსურველნი (მერე კი — მაძაგებელნი), ხან ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქენი — და მაინც უწინარესად, ადამიანებს უყვართ, სძულთ, უხარიათ, სწყინთ, მღერიან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ ცრემლიც ადგებათ თვალებზე და ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ადამიანები არიან. ამიტომ სჭირდებათ სიმღერა. ასე რომ არ იყოს, იმ სიმღერებს ისევე უცებ გადაისვროდნენ ნაგავში, როგორც დილას გამოსულ გაზუს — ესეც ხომ პარტიასა და კომკავშირზე წერდა. იშვიათია შემთხვევა, ჯემალის სიმღერა, მელოდია ქართველთა გულისგულს არ ჩასწვდეს.

...ჯემალ აჯიაშვილი და მე ჩინებულ ებრაელ მოღვაწე კაცთან — რაფიელ ელიგულაშვილთან — ვისხედით. ქვეყანას ძნელბედობის ჟამი ედგა და ქართველ

ებრაელთა სახელით მშობლიური ქვეყნის მოსახლეობის გასამხნეველად გვეწადა შეგვეძახნა. განცხადების ტექსტი შედგენილი მქონდა. ნაწიკითხე, რამდენიმე სტრიქონი ჩავამატეთ და იმაზე დავეინყეთ ბჭობა, თუ ვის, რომელ ქართველ ებრაელს უნდა რეგებოდა ამ განცხადებაზე ხელისმონერის პატივი. ცხადია, ღირსეულთ ვარჩევდით. ვიცოდით, ჯემალ სეფიაშვილი კოლექტიურ განცხადებაზე ხელისმონერას თავს არიდებდა, ამიტომ მისი სახელი არც მისხეებია. ბატონმა რაფიელ ელიგულაშვილმა, ათას ჭირ-ვარამ გამოვლილმა კაცმა (გულაგიც არ დაკლებია), თითქმის კატეგორიულად მოითხოვა, ჯემალ სეფიაშვილს მოაწერიანთ ხელიო. ვუთხარი, ჯემალი ასეთ წერილებზე ხელისმონერას თავს არიდებს-მეთქი. არაო, უნდა მოაწერიანთ — მაგ კაცმა თავისი „ტიტებით“ მთელ საქართველოს გაუთხო გულიო. ეს ის დრო იყო, ჩანსხლული ქვეყანა რომ კვენსოდა. ჯემალ სეფიაშვილის „ტიტებმა“ კი იმ წლებში ძალიან დიდი მისია აიღო თავზე — გამოავლინა ერის სულიერი ძალა, სიბრძნე და როგორც რაფიელ ელიგულაშვილმა ბრძანა — „მთელ საქართველოს გული გაუთხო“.

ჯემალი ქართველიცაა და ებრაელიც. ებრაული ტრადიციით, ქართველია, ქართული ტრადიციით — ებრაელი. დედა არაებრაელი ჰყავდა, მამა კი — ებრაელი. ებრაული ადათით უპირატესობა კი იმას ენიჭება, ვინც ადამიანი შობა და ძუძუ აწოვა. თუ ვინმეზე თქმის, ორი ერის ღვიძლი შვილიაო, სწორედ ჯემალია ასეთი. განა მხოლოდ გენეტიკურად ეკუთვნის ორ ერს — თავისი მრწამსით, ცხოვრების წესით, შემოქმედებით. მისი ერთი სიმღერა „შალომ, ისრაელ, შალომ“, რომლის ტექსტი მორის ფოცხიშვილმა დაწერა, ქართულ-ებრაული ურთიერთობის ჰიმნად მიმაჩნია: ქართველთა სულისკვეთებაც — გულგახსნილობა, მეგობრობის ნიჭი — ყლერს და ამ მიწის სიყვარულით ამღერებული ქართველი ებრაელისაც. ამიტომ იყო: საქართველოში გამოძავილი ებრაული გაზეთის „მენორა“ (შვიდსანთლიანი შანდალი, სასანთლე) ვებგვერდს რომ ვქმნიდით, მუსიკალურ გამყოლად სწორედ ეს სიმღერა ავირჩიე. რა ხანია, „მენორას“ საიტზე (www.menora.ge) შემსველ მკითხველს, ასეთი კი ათასობითაა ევროპასა თუ აზიაში, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, ჯემალის ხმა და მელოდია ეგებება. სულ დამდეგს ფიქრი, რომ მორისმა ეს ლექსი ერთ თავის მეგობარ ებრაელ კაცზე — მიშა კრიხელზე დაწერა. ჩინებულ კიბოვნება იყო — ისრაელიდან წამოსვლისას მორისთან ყოველთვის მოკითხვას მაბარებდა.

ჯემალი რომ მხედება, სულ ეგ „შალომ, ისრაელ, შალომ!“ ჩამესმის და ერთი კარგი თბილისელი კაცი — ბატონი სიმონ



იოსებაშვილი — ჯემალის სიმამრი მაგონდება. მასზე უფრო კეთილსმისურველი პიროვნება თითქმის არ შემხვედრია. ეს ერთობ ხანდაზმული კაცი, მუდამ მზად იყო, ყმანვილისთვისაც კი გარჯილიყო. ჩემს სიახლოვეს ცხოვრობდა, სიარული რომ გაუჭირდა, ფეხები გულისნადილს რომ ვეღარ ჰყვებოდა, თავისი სახლის წინ ჩამოჯდებოდა და გამლეულ-გამომვლელს კეთილ მზერას ადევნებდა. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, ასე იყო, თუ არა, მაგრამ მგონია, ადამიანებს ლოცავდა. სახლიდან გასვლისას არაერთხელ მიფიქრია, ნეტა, ბატონი სიმონი იქ იჯდეს, რომ ჩავივლი, მივესალმო და მომესალმო-მეთქი.

ჯემალ სეფიაშვილი თავის მუსიკალურ მუზას ქართველ პოეტთა ლექსებში ჰპოვებდა. ამათგან გამორჩეული მორის ფოცხიშვილი და ჯანსუღ ჩარკვიანი იყვნენ. დღეს აღარც ერთია და აღარც — მეორე. ნეტავ, ქართველ პოეტთა შორის კვლავაც თუ იპოვის თავისი მუზის გამაცოცხლებელთ?

ეს „ჭანთ ურია“ (ტარიელ ჭანტურიას-სავე გამოხატვაში) უკვე ორი რვიანისაკენ მიემართება და სადაცაა ამ ასაკსაც მოილევს, დაბეჯითებით ამბობს, ორი ექვსიანი ხომ გამოვიარე (66 წლისა რომ გახდა), ორ შვიდანსაც ხომ დავუქნია ხელი (ეს, როცა 77 წლისა გახდა), ახლა ის უნდა ვნახო, ორი რვიანი რა არის, როგორი ფერხორცი აქვსო. მე კი დიდი სურვილი მაქვს და მჯერა, ორ ცხრიანსაც გადალახავს და ნუთისოფელს ისე ჭვრეტს, ყოფას ისეთი ირონიული ღიმილით შესცქერის, კვლავაც ისეთივე ცინცხალი აზროვნებისა იქნება, როგორიც ადრე იყო და დღეს არის. ტარიელი იმ პოეტთაგანია, რომლებიც დღევანდელობაზე მოწონებულთა ვიშვიმს ყავს აცლიან. დღეს ბევრი ჩივის, მწერლობა — ლექსი, პოეზია, პროზა — არავის უნდა, ქვეყანა პარლამენტართა, დიდმოხელეთა და კრიმინალთა სააპარეჯო იქნება, ხოლო ქართული ტელევიზია ამათ ქიშპისა და კრიმინალთა ყოფის ქრონიკაა და სხვა აღარაფერო. არც უამისობაა — ხალხს ისეთ სურათს წარმოუჩენენ, თითქოს ამ სახელმწიფოში სასიკეთო არაფერი ხდება. არადა, მიწაც იხენება, ნიგნებიც იხენება, მეცნიერებიც ირფებიან, ახალგაზრდობა კი ათას პროფესიულ საიდუმლოს სწვდება.

ტარიელ ჭანტურია ამ ფონზეც იმ შემოქმედად დარჩა, რომლის სიტყვას გულდაგულ უსმენენ. ერთობ სასიამოვნო და მრავლისაღმთქმელია ის, რომ ორი რვიანის მიჯნაზე მდგომარ ორ ქართველ პოეტს, ახალი თაობის ყურადღება სდევს თან. ტარიელ ჭანტურია და ვახტანგ ჯავახიძე ხომ წინა საუკუნეში დაიბადნენ, დავაუკაცდნენ და შემოქმედებითად ჩამოყალიბდნენ, მაგრამ ისე ეკუთვნიან ჩვენს დროს, ისე გამოხატავენ მის მთავარ ტენდენციებს, ბარე ათი და მეტიც ორ სამიანს მიღწეული თუ გადაცილებულიც რომ ვერ დაიკვივნის. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთ ფაკულტეტზე, ერთ ჯგუფში სწავლობდნენ ოთარ ჭილაძე, რეზო ინანიშვილი, თამაზ ბიბილოვი, გივი გეგეჭკორი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვახტანგ ჯავახიძე, ტარიელ ჭანტურია. ხომ არის ეს ქართული მწერლობის პატარა პანთეონი!

ამასწინათ ერთი საყურადღებო ფაქტის მოწმე შევიქმენი: ლიტერატურული საღამო ტარდებოდა, ახალგაზრდებიც მოსულიყვნენ — მეცნიერნი, შემოქმედნი. ყველას იქით ჰქონდა ყური, ტარიელ ჭანტურია რას იტყვისო. ისიც კი სიამოვნებდათ, ტარიელ ჭანტურია და ესენი ერთ დარბაზში რომ იხსენებდნენ. ამ ამბავმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, როდენ ამაოა მავანთა და მავანთა ფართი-ფურთი. ვილაც ხმაურობს, ვილაც დილა-საღამოს ტელეეკრანიდან ხალხს მოძღვრავს, ზოგჯერ თითქოს კი უქნევს, ჩემი რატომ არ შეისმინეთო, ტარიელი კი საბურთალოზე შინ ზის, კითხულობს, წერს, ხანდახან არც ბანქოს თამაშზე ამბობს უარს, ათასში ერთხელ თუ იტყვის რამეს და აი, როგორ უგდებენ ყურს, როგორ ელოდებიან მის სიტყვას, მისი ხმის გაგონებას.

უფალმა ინებოს ჩემი სურვილის ახდენა: ტარიელი უხმაუროდ აუვლის გვერდს

ორ რვიანს, მერე ორ ცხრიანსაც გადალახავს და კვლავაც ასეთი იქნება: ცოტა ირონიული, სარკასტულიც კი. სხვაგვარი ტარიელი ვერც წარმომიდგენია!

თემურ ყვითელაშვილს ვიცნობ. გამიჭირდება, ვთქვა, ახლობლობა მაქვს-მეთქი. ჩვენი შეხვედრები, მასთან ნაწყვეტ-ნაწყვეტ საუბრები (დიდი ოქროპირი არც უნდა იყოს), ერთმანეთს რომ გადავაბათ, ალბათ, ნახევარი საათი თუ გამოვა. ამიტომ არ ვიცი, როგორია — დამთმობი თუ ჯიუტი, მომთხოვნი თუ ცხოვრებაში, შემოქმედებაში იოლი გზების მაძებარი. არც ის ვიცი, როგორია ნიგნთან მიმართებაში — არის თუ არა ნიგნიერი კაცი. ადამიანის რაობაზე ფიქრისას, მისი ნიგნიერება ხომ ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი. ამიტომ ის, რასაც თემურიზე ვწერ, ნაცნობი კაცის შთაბეჭდილება უფროა, ვიდრე მასთან სიახლოვით, გულდაგული დაკვირვებით განპირობებული. არ ვიცი, რაოდენ ახლოს ვარ რეალობასთან, მაგრამ მაინც ვფიქრობ, სწორედ ასეთი უნდა იყოს: თემურის კონცერტებზე ვყოფილვარ, ტელევიზიითაც არაერთხელ მინახავს, მომისმენია მისი შესრულება, ასე თუ ისე კონტაქტაც მქონია და შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ჯიუტი უნდა იყოს. დამყოლი, პროფესიაში იოლი გზის მაძებარი კაცი ისეთ შემოქმედებით დენვს ვერაფერი მი-აღწევდა, როგორსაც თემური იწინა. ამა თუ იმ ნაწარმოების შესრულებისას, მისსავე სახეზე ამოიკითხავთ: ის, რასაც შემოქმედებითად აღწევს, დიდი, ჯიუტი შრომის ნაყოფია, ეს მტანჯველი და ამავე დროს ბედნიერების განმაპირობებელი შემოქმედებითაა ღწვა სახეზე აწერია. ამას პირველი არ ვამბობ, ათასგზის უთქვამთ: სხვას, რომ სიხარული მოუტანო, სხვა რომ ბედნიერჰყო, თავად უნდა გასწირო ბევრი რამ: დრო, ენერჯია, ჯანი. ზერელე, ჰაიპარად მოფიქრალთ ჰგონიათ: „ასეთი რა მოხდა, აილო და დაუკრა;“, „ნუ, რა არი, იმღერა (დაუკრა, დახატა, დანერა) და გაგვახარა!“

საქართველოში გიტარისტი მსახიობის, მომღერლის, მოცეკვავისამებრ უზარმაზარ დარბაზებს ვერ გაავსებს. მისი მსმენელი სწორედ გიტარის ძლიერ მოტრფიალე ადამიანები არიან. თუმცა, თემურის კონცერტებზე თბილისსა, თუ სხვა ქალაქებში ეგრეთ წოდებული „ფართო“ მაყურებელიც ბევრი მინახავს. ამ რამდენიმე წლის წინათ ისრაელში მიიწვიეს, იმ დღეებში მეც იქ ვიყავი და კომპოზიტორმა სოსო ბარ-დანაშვილმა წამიყვანა აშშ-ში კონცერტზე. სანაძლეოს ჩამოვლი, იმ დიდ დარბაზში გიტარის მოტრფიალე 20-30 ადამიანი თუ იქნებოდა — უმეტესად არაქართველი ებრაელები, ეგრეთ წოდებული „საბრები“ (ისრაელში დაბადებულ ალბომელებს), მაგრამ ის ხალხიც, „ფართო“ მაყურებელს რომ ვეძახით, სულგანაბული უსმენდა. ისინი კონცერტზე საქართველოდან ჩასული შემოქმედის — თემურ ყვითელაშვილის — სახელმა მიიყვანა, თუმცა ჭკუმაღრიტმა ხელოვნებამ მოწონებდა. თემურმა სწორედ თავდადაებული შრომით მიადგინა ასეთ დონეს. ამიტომ ვფიქრობ, ჯიუტი კაცი უნდა იყოს-მეთქი. ასეთნი ცოლს, შვილებს, საკუთარ ჯანმრთელობას აკლებენ ბევრ რამეს და ხელოვნებას სწირავენ. უკომპრომისობა მის ინტერვიუებშიც კარგად იკითხება — ერთ მისხალს არ დათმობს, უწინარესად, თავის თავს არ პატიობს — თავს ებრძვის, რომ სასურველ სამემსრულებლო დონეს მიაღწიოს და სხვას რატომ, რისთვის გაუიოლებს გზა-სავალს?

ამ პიროვნებისადმი ჩემი დამოკიდებულების თავი და თავი მისი პროფესიონალიზმია, მაგრამ განსაკუთრებული პატივისმცემელი მაშინ შევიქმენი, დედა რომ გარდაეცვალა, მიცვალებულის სულის საოხად, არაფერი დაუშურებია — დილა-საღამოს იმ ლოცვა-კურთხევას მიაგებებდა, რომელიც მიცვალებულის სულს შფოთვასა და მოუსვენრობას განაჩინებდა, ამბობენ. არ ვიცი, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მიცვალებულთ რამდენად ეწევა ჩვენი გარჯა-ლოცვანი, მაგრამ ჩვენ კი ნამდვილად გვევლის შვებას — მიცვალებულისათვის გავისარჯეთ, ესე იგი, მასთან კავშირს არ ვწყვეტთ. როგორც ჩანს, თემურსაც ასე სწამს.

ელჩიც იყო, პარლამენტის ნევრიც, მერე საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეც, მინისტრიც და... მაგრამ შემგუებელი, ლაქუცა არ ყოფილა და არ არის; არც თავის წამდაუნუმ დამკვერელი — თავისუფალი პიროვნებაა — ღვთის მიერ ბოძებული სიცოცხლით ბედნიერი და მხოლოდ ღვთის განაწესს უკრავს თავს, მუხლსაც. ამიტომ იყო: როცა ამ ქვეყნის უზენაეს პირს, გამგებელს გუშინ მისსავე მიერ დანიშნული მინისტრისა რაღაც არ მოეწონა, თუ ამან — ლაშა ჟვანიამ მიიჩნია ამ ქვეყნის უზენაესის მიერ არჩეული გზა და მეთოდი სახელმწიფოს მართვისა მის სამშობლოს არა-რა სიკეთეს უქადდა (კონკრეტულად რა როგორ იყო, არც ვიცი და ეს არც არის მნიშვნელოვანი. მთავარი ის არის, რომ ერთმანეთს ირიბად დაუწყეს ცქერა), ეს ყმანვილი სავარძელს არ გაეტირა — შინისაკენ გაემურა და ერთ ჩვეულებრივ ვენურ სკამზე დაჯდა. ყველაფერი ეს ისე უხმაუროდ მოხდა, თითქოს ნიგნი ფანჯრის რაფაზე რომ იდო, ვილაცამ აილო და ბუხრის თავზე შემოდო. არც ვაივიში აუტენხია, არც ხელისუფლის ლანძღვა-გინებით უჯერებია გული. ისე უბრალოდ გაეცალა, როგორც წყლის გუბეს უქცევინ გვერდს. არადა, დღეს ასე არ იქცევიან — დღეს ხელისუფალთ ერთ ამბავს აწვევენ — კრიჭაში უდგებიან, ათას ტყუილ-მართალს ახვავებენ მასზე თუ მის ირგვლივ შემოჯარულ ადამიანებზე. ასე რატომ მოხდა — რა გახლდათ მშვიდად გაცლისა და ცხოვრების ჩვეულებრივად გაგრძელების განმაპირობებელი? განონანსწორებული სულიერი ცხოვრება. ასეა, როცა პიროვნება სულიერ ცხოვრებას ეწევა. ადამიანთა ერთ (დიდ) ნაწილს მიაჩნია, რომ კაცის ღირსების საზომი ფინანსური ძალა და იმ სკამის სიმძლეა, რომელზეც ზის. ერთიც ანგარიშგასაწევია და მეორეც, მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს, ფაქტია და მათი უარყოფა შეცდომა იქნებოდა, მაგრამ, ასე მგონია, მთავარი გამორჩებათ ხოლომე მხედველობიდან. მთავარს ვერ შესწავდომიან და სხვა რაღა დარჩენიათ — რაღაცით ხომ უნდა ზომავდნენ ამათუიმ პიროვნების რაობას. ეს მთავარი კი მაინც სულიერებაა: როცა პირჯვარს სასხვათა-შორისოდ კი არ იწერ, მოსეს ხუთწიგნულსა თუ ლოცვანს იმიტომ კი არ ემთხვევი, რომ გაგიგონია, ასე სჯობსო, ან მუსლიმთა სათაყვანებელ წიგნს იმიტომ კი არ ჩასცქერი, რომ მამაშენიც ასე ირჯებოდა, არამედ ყველაფერი ეს შენი სულიერი მოთხოვნილებაა, ასე გწამს და გჯერა. როცა სიცოცხლე უამისოდ ვერ წარმოგინდგენია, სულს ღვთაებრივი შუქი გისხივოსნებს და სიკეთისაკენ ხარ მიდრეკილი.

ლაშა არც ელჩობას შეუცვლია, არც პარლამენტარობას და არც — მინისტრობას. ისეთივე დარჩა, როგორც იყო, მაშინ, საუკუნის დამდეგს მსრაელში საქართველოს საელჩოში რიგით მრჩევლად რომ მუშაობდა — მოძრავი, კეთილსმისურველი; ყოველთა — დიდისა თუ პატარას გამგები და ქომაგი, ადამიანთა სულელები კეთილი სანჯისის მაძებარი და ამომზიდავი. არ მავიწყდება, თუ როგორ გაისარჯა, როცა ისრაელში ვიღებდით დოკუმენტურ ფილმს „დაგვიანებული კადიში“ — ჩვენი თარჯიმანიც იყო, წამოჭ-

რილ სირთულეთა მომგვარებელიც და მრჩეველიც. ლეგენდარულ გენერალ-არმიალ შარონს — ისრაელის იმდროინდელ პრემიერ-მინისტრს — მისი პირით ვესაუბრებოდი. ისიც კარგად მახსოვს, შარონის სამოსახლოში ყოფნისას, პრემიერ-მინისტრმა როგორ გაიშინაურა ლაშა. ალბათ, ჩვენი საუბარი ამის გამოც გახდა საგულდაგულო, თითქოს კარგა ხნის ახლობლებმა შევიყარეთ თავი.

...პურობა გვექონდა. ქართული თეატრის, მეცნიერების ღირსეული კაცები — ნამდვილი და არა დეველვაციის ეპოქაში — გადოქტორებულ-გაპროფესორებულნი — უსხდნენ სუფრას, ათიოდე კაცი. პურობაც იყო და საქვეყნო საკითხებზე საგულდაგულო საუბარიც, ისე, როგორც ნამდვილ, სულითა და შემეცნებით ქართველთა თავშეყრას სჩვეოდა და სჩვევია დღესაც. ლაშა ჟვანია მოგვიანებით შემოგვიერთდა. ორი-სამი სადღეგრძელო თქვა, შეინახეთა საუბარშიც ჩართო და წავიდა — საპარლამენტო არჩევნები ახლოვდებოდა, ლაშა დეპუტატად შეეგულეებნათ. წავიდა თუ არა, ყველა იმაზე ალაპარაკდა, როდენ ღირსეული, დიდებულად მოაზროვნე ახალგაზრდა შეიღობა პარლამენტში სწორედ მათთვის მიუღებელი პარტიდან. ოპოზიციური სულისკვეთების გამო ჭეშმარიტებას არცერთმა აქცია ზურგი.

ყველაფერი ამის ფინალი თავშივე ითქვა — ლაშა დეპუტატაც გახდა, მინისტრიც და არავის, არც ერთ ამათგანს — ისევე თეატრის მოღვაწეებსა და მეცნიერებს მოგახსენებთ, არ გაჰკვირვებია ახალგაზრდა კაცის ასეთი წინსვლა.

მერე კი... ლაშა, როგორც გითხარით, შინ წავიდა და ვენურ სკამზე დაჯდა. არც ეს გაკვირვებითა.

მას შემდეგ ლაშა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის გვერდით დგას. ესეც ადასტურებს მის პიროვნულ რაობას.

ლაშა ებრაელიც არის და ქართველიც. როცა კათოლიკოს-პატრიარქზე, მისადმი დიდ პატივისცემასა და სიყვარულზე საუბრობს, მზერა უბრწყინდება. სათავე? სად არის ამ სიხარულის სათავე? რწმენისაკენ გაუნელებელ სწრაფვაში. ნაკლებად მორწმუნენი, ან სულაც განმდგარნი, იმაზე საუბრობენ, რაც ადამიანებს ამორიშორებთ, ანცალკევეთ, ჭკუშმარტი მორწმუნენი კი იმაზე ლაპარაკობენ, რაც ადამიანებს აერთიანებთ. არადა, ადამიანებს ათასგზის მეტი აერთიანებთ, ვიდრე ამორიშორებთ. ვილაც გატლექილი უბირი ებრაელობაზე ისე გაივლ-გამოვივს, თმა ყალყზე დაგიდგება, ბრძენკაცის — უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორისაგან კი ებრაელობის ღირსებებზე იმდენი მსმენია, შინ მობრუნებულს კვლავ წინასწარმეტყველთა თუ იოსებ ფლავიუსის ნაწერები გადამიშლია.

სამყარო რომ ლაშასებრი ადამიანებით იყოს სავსე, იქნებოდა საყოველთაო მშვიდობა და შრომის, სიყვარულის, სიკეთისათვის გარჯის სუფევა, მაგრამ ალბათ უზენაესის ნებაა, ვიცი არსებობდეს, სიკეთისაკენ მიდრეკილი მეტად რომ გამოვარჩიოთ და დავაფასოთ. ეს კი, რის სურვილსაც მე გამოვთქვამ, მესიის მოსვლას უკავშირდება. ებრაელობა ათეულობით საუკუნეა, მესიას ელოდება.





პოეზია

სოსო მეშველიანი

სოსო მეშველიანი ლექსებს დიდი ხანია წერს. პირველი ლექსის დაწერის შემდეგ...

ეს მცირე შესავალი, და ალბათ ინტერვიუც, ვერაფრით დაიტევს სოსო მეშველიანის...

— შენს ლექსებსა და ჩანაწერებს რომ ვკითხულობ, უზანულ თუ სოფლის პეიზაჟებს...

— ძალიან ჩამაფიქრა ამ შეკითხვამ, აქამდე რატომ არ დავეჭვებულვარ ამაზე? მართლა არ ვიცი, არ მახსოვს...

თითქოს სპარტანულ აღზრდას რომ ჰგავდა, ის მიძიმე პირობები, ქანცის გაცლამდე...



სულ სხვა სიცოცხლეა“. ეს იყო ყველაზე მოკლე და ზუსტი შეფასება.

— როგორ მოხვდა შენი ლექსები ქართულ პერიოდიკაში, როგორ გაგიცნო მკითხველმა, ლიტერატურულმა წრემ?

— თხუთმეტწლიანი ყოყმანის შემდეგ მეგობარმა გადაამწყვეტინა ლექსების გამოქვეყნება. უფრო სწორად, რაკი იცოდა...


— „პირველ კრებულს, „ღამესასწაული“, ხომ არ გაიხსენებ? ან როგორია მწერლისთვის პირველი წიგნის გამოსვლა?

— ყოველთვის მეგონა, რომ მარტო პირველი კრებულის გამოცემა იქნებოდა რთული გადასასწყვეტი...

თან ახლდა ამ პროცესს, თუნდაც — სიმორცხვისგან, მაგრამ პირიქით მოხდა. მას შემდეგ...

— ალბათ ძნელი იქნებოდა უცხოეთში წასვლა სამუშაოდ, უცხოობის განცდა არ განუხებდა?

— უცხოეთში პირველად ჩვიდმეტი წლისა წავედი, ბიძაჩემმა წამიყვანა. მართალია...



რია, მთიან სოფელში გაზრდილ კაცს უცებ რომ გაგელვძობდა და მშობლიური მთების და ტყეების ნაცვლად...

— მეგონა, რომ პოეზიაც, პროზაც ზოგჯერ შევლავ ხოლმე ავტორისთვის ერთგან იხსენებ ესპანეთში ყოფნისას

სახლიდან სამსახურამდე გასავლელ გზას, როცა დროის იმ მცირე მონაკვეთში გრძნობდი თავისუფლებას...

— დიას, შევლავა და თან როგორი. ჩემს შემთხვევაში ეს ისეთივე აუცილებელი იყო, როგორც ის ჩასაბმელი ქამარი...

დაბოლოს, გიორგი ლობჯანიძის სიტყვებით დავასრულებ, ჩემი მისამართით რომ თქვა: „ამ შემთხვევაში გადაწყვეტი არც ის არის, სად იქნები...“

— შენს ბიოგრაფიაში ესპანეთს განსაკუთრებული ადგილი აქვს. როგორც არაერთხელ გითქვამს, მრავალნაირ ემოციას უკავშირდება იქაურობა...

— ესპანეთი ის ერთადერთი შემთხვევაა, რაზეც დაუსრულებლად შემოიძლია ლაპარაკი. არამხოლოდ ესპანურ კულტურასა და ლიტერატურაზე...

